



# ბათუმის უნივერსიტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზათი №5. მაისი. 2014.

## უმაღლესი საინჟინრო განათლების მოღონიზაშია სტანდონიზის გამოწვევის შესაბამისად



# Tempus

ევროკავშირი ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს სამეზობლო პოლიტიკას, არაერთი პროგრამა ხორციელდება პარტნიორი ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემის რეფორმისა და ევროპულ ფასეულობებთან დაახლოების მიზნით, მსოფლიოს ნამყვანი უნივერსიტეტები საუბრობენ შედეგზე ორიენტირებულ განათლებაზე, ლონდონის კომიუნეში, ბოლონის პროცესის ხელმომწერი მინისტრები აღნიშნავენ: „ჩვენი მიზანია უზრუნველყოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მათი მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსებით. ეს მიზნებია: სტუდენტების მომზადება დემოკრატიულ საზოგადოებაში აქტიური მოქალაქეობისთვის, მომავალი კარიერისთვის და პროფესიული განვითარებისთვის, ასევე ფართო თანამედროვე ცოდნის მიცემა, კვლევებისა და ინოვაციისთვის ხელშეწყობა“, აქვე მინისტრები მოუწოდებენ დაწესებულებებს, რომ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ დამსაქმებლებთან სწავლის შედეგებზე დაფუძნებული ინოვაციური კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არ არის საკმარისი „კომუნიკაცია“ განათლებასა და წარმოებებს, ვაჭრობასა და კულტურას შორის. ხშირად ეკონომიკის სწრაფი განვითარების პროცესში სათანადოდ ვერ რეაგირებს საგანმანათლებლო დაწესებულებები, მეორეს მხრივ, სწავლის შედეგები და ორგანიზაციები არ განიხილავენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ხელსაყრელ და მომგებიან პარტნიორად, რის გამოც შედარებით ნელა ვითარდებიან და გაცილებით მეტს ხარჯავენ ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარებისთვის, ასევე უძნელდებათ საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრება საკუთარი ნიშით.

ჩვენს უნივერსიტეტს, როგორც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ნამყვან და მდიდარი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტს, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის, საერთაშორისო საგანმანათლებლო პრაქტიკის დანერგვის მკაფიო და განსაზღვრული სტრატეგია აქვს. ევროკომისია პერიოდულად აქვეყნებს ანგარიშს დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის, მათი შედეგებისა და მდგრადობის შესახებ. რო-

გორც საზოგადოებისთვის ცნობილია, უკანასკნელ ანგარიშში დაფიქსირდა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ტემპუსისა და ერაზმუს მუნდუსის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მაღალი მაჩვენებელი აქვს, კერძოდ, იგი ქართული უნივერსიტეტების სამეულში მოხვდა თსუ-სა და ილიას უნივერსიტეტის შემდეგ. აქვე თუ დასახელებული უნივერსიტეტების სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რაოდენობას შევადარებთ, დაერწმუნდებით, რომ მიღწეული შედეგი მართლაც ძალიან საამაყოა. დღეისათვის ბსუ-ში ხორციელდება ტემპუსის 18 პროექტი, ჩვენი უნივერსიტეტი ჩართულია ერაზმუს მუნდუსის 5 გაცვლით პროგრამის კონსორციუმში.

დღეს მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ტემპუსის ერთ-ერთ პროექტზე (ENGITEC). იგი ითვალისწინებს უმაღლესი საინჟინრო განათლების მოდერნიზაციას ტექნოლოგიების გამოწვევების შესაბამისად. პროექტის მიზანია:

- პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტების შესაძლებლობის გაძლიერება ინჟინერიაში ევროპული სწავლების მეთოდოლოგიის გაზიარებით;
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მოდერნიზაცია ახალი ინტერდისციპლინარული მოდულების შემუშავებითა და დანერგვით;



## უნივერსიტეტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე ეწვია



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძესთან, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან გიორგი სიგუასთან და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან გიორგი თავამაიშვილთან ერთად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. შეხვედრაზე მინისტრმა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს უმაღლესი განათლების სფეროში დაგეგმილი სიახლეები და პრიორიტეტები გააცნო. ახალგაზრდებს ასევე შესთავაზა ახალი ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, სტუდენტები მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამაში ჩაერთვებიან. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი სიგუამ სტუდენტებს მობილური გიდების პროგრამა წარუდგინა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა და მინისტრმა თამარ სანიკიძემ სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა. ახალგაზრდები სასწავლო გრანტებით, უფასო საგანმანათლებლო პროგრამებით, სტაჟირებით, საზაფხულო სკოლებით, დასაქმების ხელშეწყობი პროექტებით და სხვა აქტიუალური საკითხებით დაინტერესდნენ.

- „აკადემიური საზოგადოება - მრეწველობა“ დიალოგის ახალი პლატფორმის შექმნა უმაღლესი საინჟინრო განათლების ტექნოლოგიების გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. პროექტით დაგეგმილია ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება (ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი) და მათი მოდერნიზაცია დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად. პროექტი საშუალებას აძლევს ჩვენს პროფესორს ევროპელი პარტნიორების გამოცდილების გაზიარებით შემოიტანონ ინტერდისციპლინარული მოდულები, დანერგონ სწავლების თანამედროვე მეთოდები და ფორმები, რაც გაზრდის

მოთხოვნას ჩვენს კურსდამთავრებულებზე. პროექტში ჩართულია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ძლიერ ტექნოლოგიურ სკოლად აღიარებული, სამი ევროპული უნივერსიტეტი (სტოკჰოლმის სამეფო უნივერსიტეტი, შვედეთი; ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, იტალია და ლიდის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი), ასევე ცნობილი ინოვაციური ცენტრი „DELICAM“, რომელიც განთავსებულია ინგლისში და თანამშრომლობს მსოფლიოს ნამყვან ტექნოლოგიურ ცენტრთან და სანარმოსთან. საქართველოდან პროექტში ჩართულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროექტში მონაწილეობენ აგრეთვე უკრაინისა და უზბეკეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლები.

პროექტის მიმდინარეობის პერიოდში ჩატარდა 3 სასწავლო ვიზიტი თითოეულ პარტნიორ უნივერსიტეტში, სულ 9 ვიზიტი. კერძოდ, ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს მობილობით იმყოფებოდნენ პროექტის კოორდინატორი, მათემატიკის დოქტორი, ასოც. პროფ. **ლელა თურმანიძე**, ასისტ. პროფ. **ლია დავითაძე** - განათლების დოქტორანტი, კვლევის სფერო „გამოყენებით დარგებში საუნივერსიტეტო კურიკულუმების სპეციფიკა - ევროპული და არაევროპული ქვეყნების გა-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)



## ემორანდუმი ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მხარეები სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით ერთობლივი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების, მასტერ-კლასების, ტრენინგების, ლექცია-სემინარების, კონფერენციების, კონკურსების ჩატარებაზე შეთანხმდნენ. უნივერსიტეტის ბაზაზე სკოლამდელი სექტორის განვითარების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების 370 აღმზრდელი და 27 მეთოდისტი გადამზადდება.

## სამეცნიერო-პრაქტიკული ჯონფარენსია სტომატოლოგიის აქტუალურ საკითხებზე

სტომატოლოგიის აქტუალურ საკითხებზე უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში სტუდენტების, რეზიდენტებისა და ექიმი-სტომატოლოგებისთვის სამეცნიერო-პრაქტიკული ჯონფარენსია გაიხსნა. ქვეყნის სხვადასხვა წამყვანი კლინიკების ექიმებმა დარგში არსებული სიახლეები და პრობლემები განიხილეს. სესიის ფარგლებში ასევე გაიმართა მასტერ-კლასი ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორცაა: სხვადასხვა თაობის ადჰეზიური სისტემები, სარესტავრაციო მასალები, მუშაობის პრაქტიკული რეკომენდაციები, პირის ღრუს გავრცელებული დაავადებები, დეფექტების ქირურგიული რეკონსტრუქცია და მკურნალობის მენეჯმენტი. სამეცნიერო-პრაქტიკული ჯონფარენსია საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციისა და უნივერსიტეტის ორგანიზებით ტარდება.



## ხსოვნისადმი მიძღვნილი ჰოეზიის საღამო



სოფელ ახალსოფელში ეკლესიის მშენებლობისას ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდების: თორნიკე მახარაძისა და მამუკა მიქელაძის ხსოვნას მიეძღვნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული ჰოეზიის საღამო. სტუდენტებმა და მეგობრებმა ნუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილთა ხსოვნას, გაიხსენეს მათი ცხოვრება და ლექსები წაიკითხეს. ჰოეზიის საღამო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ხელშეწყობით ჩატარდა.

## აზერბაიჯანის ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის საიუბილეო საღამო

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აზერბაიჯანის საკონსულოს ინიციატივით აზერბაიჯანის ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის დაბადებიდან 91-ე წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალი-ომა ბაკურიძემ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურმა კონსულმა ბათუმში ჰუსეინ ნაჯაფოვმა, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ ბერიძემ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა ჰეიდარ ალიევის ღვაწლსა და მიღწევებზე ისაუბრეს. საიუბილეო საღამოზე აზერბაიჯანელი ხალხის ლიდერის ცხოვრების ამსახველი ფოტოგამოფენა და დოკუმენტური ფილმის ჩვენება შედგა.



## საქართველო „პინოქიო“ ინტელექტუალური ჯგუფის მოზარდების მონაწილეობით



საქტო დარბაზში N6 საჯარო სკოლის ინტელექტუალური ჯგუფის მოზარდებმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ორგანიზებით სპექტაკლი „პინოქიო“ წარმოადგინეს. უნივერსიტეტისა და სკოლის თანამშრომლობის ფარგლებში განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოზარდების მიერ დადგმული რიგით მეთხე სპექტაკლია. ინტეგრირებული და ინტელექტუალური ჯგუფის ბაზაზე დასი „ცისარტყელა“ შეიქმნა, რომელიც მოზარდების უნარების განვითარებასა და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას შეუწყობს ხელს.

## ჰიზიბი ჰრალის სიცოცხლის შემსახველ მეცნიერებათა უნივერსიტეტში




ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან გიორგი მასალკინთან, დავით ბაციკაძესთან და ირაკლი ჯაშთან ერთად, ჩეხეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა. ერთკვირიანი ვიზიტი მიზნად ისახავდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრარული და სოცოცხლის შემსახველ მეცნიერებათა განვითარების ხელშეწყობას. ჰრალის სიცოცხლის შემსახველ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (CULS) აგრობიოლოგიის, კვების პროდუქტებისა და ბუნებრივი რესურსების, სატყეო საქმეთა და ხე-ტყის რესურსების მართვის ფაკულტეტებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის ხელმძღვანელთან პროფესორ იარომირ ნემეცთან გამართულ შეხვედრებზე დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები. მხარეებმა შეიმუშავეს თანამშრომლობის მემორანდუმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლას, ერთობლივ სამეცნიერო მუშაობას, სემინარებისა და კონფერენციების მოწყობას. შეთანხმების თანახმად, მომავალი სასწავლო წლიდან, ქართველი სტუდენტები და მაგისტრები 6 თვით ან ერთი წლით აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელში უფასოდ ისწავლიან.

## 9 მაისი - ფაზიზოვა გაბარჯუბის დღე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანებმა, სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნას პატივი მიაგეს. ომის ვეტერანებს ფაზიზოვა გაბარჯუბის 69-ე წლისთავი მიულოცეს, 1941-1945 წლებში ბრძოლის ველზე დაღუპული გმირები გაიხსენეს და ფერიის ძმთა სასაფლაო ყვავილებით შეამკეს. მეორე მსოფლიო ომში 700 000-ზე მეტი ქართველი მონაწილეობდა.



## ანგლისისა და ნალკის ეპარქიის მღვდელმთავრმა, მიტროპოლიტმა ანანიამ (ჯაფარიძე) საჯარო ლექცია წაიკითხა



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწინდარ სინოდის წევრმა, მანგლისისა და ნალკის ეპარქიის მღვდელმთავარმა, მიტროპოლიტმა ანანიამ (ჯაფარიძე) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „ნალკის ეპარქია“ (ლოკალიზაციის პრობლემა). მღვდელმთავარმა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ნალკის ეპარქიის ისტორიისა და მისი ადგილმდებარეობის საკითხები გააცნო. წარმოდგენილი კონცეფციის მიხედვით, ნალკის ეპარქიის მთავარი საეპისკოპოსო ცენტრები: პიტუნტი, სევესტოპოლისი, ფაზისი და პეტრა მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ შავი ზღვის სამხრეთ ტერიტორიაზე (ჭორხიდან ტრაპიზონამდე). საჯარო ლექციის დასასრულს დისკუსია გაიმართა და მიტროპოლიტმა ანანიამ (ჯაფარიძე) აქტუალურ შეკითხვებს უპასუხა.

## „ცივილური საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარების მთავარი მიმართულებები“

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა მურმან ცეცხლაძემ, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ზვიად ბურაძემ, სტუდენტებმა: ომარ ტაკიძემ, ლანა ბურაძემ, ანა მუჟანაძემ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში - „ცივილური საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარების მთავარი მიმართულებები“ მიიღეს მონაწილეობა. ბაქოში გამართული ორდღიანი კონფერენცია მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ურთიერთობების პროცესში არსებული პრობლემებისა და მათი დაძლევის გზების განხილვას. კომპეტენტურმა ჟიურიმ ფინანსები, დაზღვევა და საბანკო საქმის სპეციალობის IV კურსის სტუდენტ ომარ ტაკიძის მოხსენება „საქართველო აზერბაიჯანის საეკონომიკური ურთიერთობები და მათი გაკვლევა გლობალურ ეკონომიკაზე“ საუკეთესოდ დასახელა და პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა.



## ირანის ისლამური რესპუბლიკის დელეგაციის ვიზიტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ირანის ისლამური რესპუბლიკის გენერალური კონსული ბათუმში აჰმად რეზა არჯანი კულტურის ატაშესთან ერთად ეწვია. უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეებთან ირაკლი ბარამიძესთან და ნათია წიკლაშვილთან გამართულ გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე სტუმარებმა ორი ქვეყნის ურთიერთობებზე ისაუბრეს. მხარეები ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებასა და კულტურული ღონისძიებების ჩატარებაზე შეთანხმდნენ.





# გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „თირინი“

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „თირინი“ ორი წლის წინ ჩამოყალიბდა. ანსამბლში 12 გოგონაა გაწევრიანებული, რომლებიც ხალხურ სიმღერებს და საგალობლებს ასრულებენ. „თირინი“ აქტიურად იღებს მონაწილეობას საქველმოქმედო აქციებში, გამართული აქვთ ბევრი კონცერტი.

ანსამბლი 2012 წელს თურქეთში ცნობილი ლაზი მომღერლის იუბილეზე მიიწვიეს. 2014 წელს ანსამბლს მონაწილეობა უნდა მიეღო უკრაინაში „საგალობლების“ ფესტივალზე, თუმცა სამწუხაროდ იქ შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, ფესტივალში მონაწილეობა ვერ მიიღეს. ანსამბლის ხელმძღვანელი, თეიმურაზ დოლიძე არაერთი ცნობილი მომღერლის აღმზრდელი პედაგოგია. ერთ-ერთი მათგანი „საქართველოს ვარსკვლავი“ ლუკა ზაქარიასია.

ვესაუბრებით ანსამბლის წევრებს:

### ცირა ბუძინძა:

— ცირა, რომელია შენი საყვარელი სიმღერა?

— ერთი კონკრეტულის თქმა ნამდვილად გამიჭირდება. გეტყვი, რომ ჩემი საყვარელი სიმღერებია ქართული ფოლკლორიდან „დაიგვიანეს“, „დაჭრილის სიმღერა“ და „ჭრელ ბაღდადზე გაველი სუფრას“. საერთოდ ვიტყვი იმას, რომ ხმებში გაშლილი ქართული სიმღერები უბადლო და შეუდარებელია. უბრალოდ მწყინს, რომ დღეს საქართველოში ბევრი ახალგაზრდა ამ საკითხში გაუთვითცნობიერებელია და არ ესმით თუ რაოდენ ძვირფასი საგანძურია ქართული სიმღერა. საქართველოში მყოფმა ერთმა მსოფლიო დონის ფოლკლორისტმა თქვა:



„ქართველებს განძზე გძინავთ და სხვის ნაგავში იქექებით“. მე გამიხარდება და ბედნიერი ვიქნები იმით, თუ ბევრი ახალგაზრდა შეეცდება შეინარჩუნოს ქართული ფოლკლორის ავთენტურობა.

— რას განიცდი, როდესაც მღერი ფართო აუდიტორიის წინაშე?

— სცენა მაგიაა ჩემთვის. მიყვარს სცენის მიღმა კულისებში სიმღერა და ის განცდა, რომ უნდა გახვიდე და იმღერო აუდიტორიის წინაშე. არის შიში, ნერვიულობა და დაძაბულობა, მაგრამ როცა სცენაზე გავდივარ, მავიწყდება ყველაფერი — იქამდე თქმული თუ განცდილი და გეფიცებით, ვაკვირდები ხალხის სახეს. მიყვარს ის ყრუ ხმაური, რაც სიმღერის დროს ხალხის ზუზუნს მოაქვს.

სცენა ყველაფერია ჩემთვის.

### ნატალია კახაძე:

— ნატალია, ხომ ვერ გაიხსენებდით პირველ კონცერტს?

— პირველი კონცერტი 11 წლის ასაკში მქონდა, სტუდია „ონაერებში“ დაუდიოდი, ვნერვიულობდი ძალიან, თან ბედნიერიც ვიყავი, რად-



გან პირველად უნდა გავსულიყავი სცენაზე.

— საქველმოქმედო აქციებში თუ მიგილიათ მონაწილეობა?

— დიახ. განსაკუთრებით ორ კონცერტს გამოვყოფდი. სამების მონასტრის რესტავრაციისთვის ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი, სადაც უამრავი ცნობილი მომღერა-



ლი მონაწილეობდა, ჩემთვის დიდი პატივი იყო მემღერა მათთან ერთად და პატარა წვლილი შემეტანა ამ საქველმოქმედო საქმეში. 2014 წლის 15-აპრილს ბათუმში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში კონცერტი ჩატარდა. ჩვენც მივიწვიეს. როგორც სტუმრებს, ავადმყოფები ძალიან კარგად დაგვხვდნენ — იცეკვეს, იმღერეს, ლექსები წაიკითხეს. ჩვენც შევასრულეთ რამდენიმე ნომერი. მათგან დიდი სიყვარული და სითბო ვიგრძენი. არასდროს არ დამავიწყდება ის დღე. ბედნიერი ვარ და იცით რატომ? იმიტომ, რომ ღმერთმა მიბოძა სიმღერის ნიჭი და მიხარია ის ფაქტი, რომ ჩემი სიმღერით ადამიანებს ვულამაზებ ერთ დღეს.

### მარი-მელანო გალოიშვილი:

— მელანო, თქვენ მე-4 კურსზე ხართ, სწავლას წელს ამთავრებთ. სწავლის დამთავრების შემდეგ იმ-



ღერებთ თუ არა ანსამბლ „თირინი“?

— სწავლის დამთავრების შემდეგ მსურს ჩემი პროფესიით ვიმუშაო პატარა სასწავლო დაწესებულებაში. მინდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატარებს დავეხმარო, ან და ბანი ვასწავლო, მინდა მათთან ერთად განვიცადო ყველაფერი. რა თქმა უნდა, არც სიმღერას დავანებებ თავს. მინდა, რომ დიდხანს, დიდხანს ვიმღერო და ვიყო ანსამბლ „თირინის“ წევრი.

### მარი კუტუზიძე:

— ჩემთვის „თირინი“ არ არის ადგილი, სადაც მხოლოდ ვმღერი და კონცერტებზე გამოვდივარ. ეს არის ადგილი, სადაც ვიღებ გამოცდილებას, ვყალიბდები და ვვითარდები არა მარტო როგორც ფოლკლორის მიმართულებით მომღერალი გოგონა, არამედ როგორც პიროვნება. ეს გუნდი მნიშვნელოვანი ნაწილია ჩე-



მი სტუდენტური ცხოვრებისა. ჩემთვის ანსამბლის თითოეული წევრი ბევრს ნიშნავს. ჩვენთვის სცენაც კი ურთიერთობის საშუალებაა როგორც მსმენელთან, ასევე ერთმანეთთან.

რაც შეეხება აუდიტორიას, რომლის წინაშე გვინებს ნარდგომა, არსებითად ორგანული ნაწილია გუნდის წარმატებული გამოსვლისა და ამიტომაც გულდასანყვეტია, როცა მსმენელი ვერ გიგებს ან არ გიგებს, მაშინ როცა სრულყოფილად მომზადებული გუნდის წარმატებული გა-

მოსვლაც კი 80% -ით აუდიტორიაზე არის დამოკიდებული. თუმცა, სიმართლე გითხრათ, სიცვი და ინდეფერენტული დამოკიდებულება პირადად მე ნაკლებად მიგრძნია ჩვენი მსმენელისგან, ჩვენს გამოსვლას დარბაზის უმრავლესობა ყოველთვის თბილი ღიმილითა და აპლოდისმენტებით ხვდება.

### ნათია სირაბიძე:

— ნათია, რატომ დაარქვით ანსამბლს „თირინი“?

— სიტყვა „თირინი“ პატარა მგალობელ ჩიტს ნიშნავს. ჩვენი ანსამბლიც ქართულ საგალობლებს ასრულებს და ამიტომ გადავწყვიტეთ ანსამბლის-



თვის „თირინი“ დაგვექვა.

მუსიკა ჩემთვის ჰაერია. ასე მგონია უმუსიკოდ ვერ შევძლებდი ცხოვრებას. ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, როდესაც ვუსმენ სიმღერას და კიდევ უფრო დიდი სიამოვნებაა, როდესაც ვმღერი. მეჩვენება, რომ ეს სამყარო ჩემია, ძალიან მიყვარს სცენა, ჩვენი კონცერტები, როცა ხალხი ტაშს გვიკრავს. ხალხს დადებითი სითბო და ემოცია მოაქვს ჩვენთვის, რაც უფრო და უფრო მაყვარებს სიმღერას. ფსიქოლოგები ამბობენ: „ვინც მძიმე მუსიკას უსმენს ან მღერის, ის ჩაკეტილი და დეპრესიული ადამიანია, ხოლო ვინც პირიქით, ლაღი და მხიარული“. მართლაც ასეა, მიყვარს მხიარული, მუხტიანი სიმღერა. უფალს მადლობას ვუხდით, რომ დამაჯილდოვა სიმღერის ნიჭით. ვიმედოვნებ, დროთა განმავლობაში უფრო დავიხვეწები და კარგი მომღერალი გავხდები.

### თაფუნა მიქელაძე:

და ბოლოს, მეც, ამ სტატიის ავტორი, ვმღერი ანსამბლ „თირინიში“ და ვარ ამით ბედნიერი. მაქვს საშუალება, მქონდეს ურთიერთობა ისეთ ღირსეულ ადამიანებთან, როგორც ანსამბლ „თირინის“ წევრები არიან. როცა ვმღერი და სცენაზე გავდივარ, ვგრძნობ ძალიან დიდ პასუხისმგებლობას მშობლიური უნივერსიტეტის, პედაგოგების, პუბლიკისა თუ თანატოლების წინაშე. ვცდი-

ლობ ყველა ვასახელო. სცენაზე გასვლის დროს ვერაფერს ვხედავ. მხოლოდ მაყურებლის ყრუ ზუზუნს შეუძლია მომიყვანოს გონს. ზოგი სიმღერა სცენაზე კეკლუცს მოითხოვს, მეც ვკეკლუცობ, ვიღიმი, თვალებით ვურთიერთობ ანსამბლის წევრებთან.

ჩვენ ყველა ერთ გუნდად ვართ შეკრულნი. არასდროს არ დამავიწყდება სცენაზე გასვლის წინ განცდილი ემოციები, თავის დახრა, ბოლო ამოსუნთქვა, პირველი ბგერა და მაყურებელი. ყველაზე ბედნიერები მაშინ ვართ, როცა სიმღერას ვამთავრებთ და გვესმის ოვაციები, ტაში მაყურებლისა. სწორედ მაშინ ვგრძნობ, რომ ჩვენ შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია.

ჩვენი პედაგოგი, ბატონი თეიმურაზი შრომისმოყვარე, მიხანდასახული და ენერგიული ადამიანია. იგი არასდროს იღლება. სულ მაქსიმუმს მოითხოვს ჩვენგან. ერთი თქვენი თვალით უნდა დაინახოთ, როგორ გვდირიჟორებს, როცა ახალ სიმღერაზე ვმუშაობთ. გოგონები სიცილით ვამბობთ: „ოთხი ხელი რომ ჰქონდეს ოთხივეს გამოიყენებსო“

რაც არ უნდა კარგად შევასრულოთ სიმღერა, არასდროს არ შეგვაქვს, გვეტყვის „არაუშავდა“, „იყო რა“.

ზოგჯერ გული მწყდება და იცით რატომ? დღეისათვის იშვიათად მოიძებნება ახალგაზრდა, რომელსაც უყვარდეს ხალხური შემოქმედება. იცით რატომ ვწერ ამას?



სცენაზე არაერთხელ გასულს შემომჩნევია ჩვენი თანატოლების სახეზე ირონია. პირველად ყოველივე ამან ჩემზე ცუდი გავლენა იქონია, მაგრამ შემდეგში ყურადღება აღარ მიმიქცევია.

ჩვენ ვმღერით და ვიმღერებთ მუდამ. გვინდა რომ ქართული სიმღერები უკვდავყოთ, ქართულ სიმღერებზე გაიზარდოს მომავალი თაობა, არ დაივიწყონ ანი და ბანი, ჩვენი ლილე, მთიულური, კრიმანჭული და აჭარული.

### თაფუნა მიქელაძე





(დასაწყისი პირველ გვერდზე)

მოცდილების შედარებით ანალიზი. ტექნოლოგიური ფაქტორების დეკანი, პროფ. გაიოზ ფარცხალაძე.

სტოკჰოლმის სამეფო უნივერსიტეტში ვიზიტით იმყოფებოდნენ: პროფ. ალიოზ ბაკურიძე, რექტორი. ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, კვლევის სფერო ფარმაცევტული ტექნოლოგიები. ასისტ. პროფ. ნანა მაზმიშვილი; მათემატიკის დოქტორი ნინო სვანიძე, კვლევის სფერო სტატისტიკა, ტექნოლოგიური ფაქტორების დეკანი, პროფ. გაიოზ ფარცხალაძე.

ლიდის უნივერსიტეტში სხვადასხვა თემატიკაზე ჩატარებულ სემინარებს ესწრებოდნენ მათემატიკის დოქტორი, ასოციირებული პროფესორი ანზორ ბერიძე, პროფ იბრაიმ დიდმანიძე, ასევე მათემატიკის დოქტორი ლელა თურმანიძე.

განხორციელებული ვიზიტების პირველი ეტაპი ითვალისწინებდა ევროპული განათლების სისტემისა და პარტნიორი უნივერსიტეტების, მათი მიღწევების გაცნობას, მეორე ეტაპი მიმართული იყო კურიკულუმების დიზაინის, დამკვიდრებული სწავლების, შეფასებისა და კვლევების დაგეგმვის გამოცდილების გაცნობისკენ, ხოლო მესამე ეტაპის მიზანი იყო სანარმოებთან თანამშრომლობის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების ზრდის, მრეწველობის განვითარებაში უნივერსიტეტის როლისა და მნიშვნელობის პრაქტიკისთვის გაცნობა.

ჩვენმა პერსონალმა მოაზარა სპეციალური პრეზენტაციები და ჩაატარეს სემინარები, საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის პროექტის შედეგების, ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარების მიზნით.

პროექტის ფარგლებში დაფინანსდა დოქტორანტების მიზანდასახული და ირინა დუმბაძის მობილობა უკრაინაში, სადაც სტოკჰოლმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტისა და ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებმა წაიკითხეს ლექციები პროექტის დიზაინში და ჩატარდა სემინარები. წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით ჩავატარეთ ტექნოლოგიური მიმართულების მაგისტრატურის სტრუქტურულ ტესტირება პატენტთა ცოდნის დონის შესაფასებლად. აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ საგნებში უკრაინის, საქართველოსა და უზბეკეთის სტრუქტურულ ცოდნის დონე არ შეესაბამება ევროპაში მიღებულ სტანდარტს, ევროპელი ექსპერტებისგან მივიღეთ კურიკულუმებში აღნიშნული კომპონენტის გაძლიერების რეკომენდაცია.

განსაკუთრებით საინტერესოა ინგლისის გამოცდილება, სადაც არსებობს უმაღლესი საინჟინრო განათლების პროფესიული სტანდარტი, რომელიც აღწერს საინჟინრო განათლებაში ყველა სახის კვალიფიკაციას, მისალწვე სწავლის შედეგებს, ამ სფეროში აღიარებულ სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. აქ აპრობირებულია აგრეთვე ჯგუფურ პროექტებზე მუშაობის მეთოდი, რაც მომავალ ინჟინერს სწავლის ადრეული წლებიდან უვითარებს ინოვაციური აზროვნების უნარს. ლიდის უნივერსიტეტს წარმოებთან მჭიდრო თანამშრომლობის უდი-

# უმაღლესი საინჟინრო განათლების მოქნილობა ტექნოლოგიის განვითარების უსაზღვრესად

დესი გამოცდილება აქვს. საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულია პრაქტიკის კომპონენტი, საბაკალავრო და სამაგისტრო თეზისებიც კი ორიენტირებულია მრეწველობის სექტორის მოთხოვნილებებზე. უკვე ამ ეტაპზე იქმნება ღირებული ინტელექტუალური პროდუქტი.

ანალოგიური გამოცდილება აქვს შვედეთის სამეფო უნივერსიტეტსა და ტურინის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტებს.

მათემატიკის დოქტორი, ნინო სვანიძე ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილ ანგარიშში აღწერს შვედეთის სამეფო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტანდარტს ინჟინერიაში. აღნიშნული უნივერსიტეტი ევროპის ათ საუკეთესო უნივერსიტეტშია შორისა. იგი არის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ევროპული ქსელის - „კლასტერი“ წევრი. „კლასტერის“ მიზანია წარმოადგენდეს ევროპაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების პლატფორმას და ევროპული მრეწველობისთვის პირველ მიმწოდებელს

შვედეთში ინჟინერიის მაგისტრის ეროვნული ხარისხის მოპოვებისათვის (5 წელი) სტრუქტურა უნდა შეძლოს აჩვენოს საფუძვლიანი მეცნიერული ცოდნა და წარმატებული გამოცდილება, როგორც ინჟინერიის შერჩეულ დარგში, ასევე მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

ასისტენტ პროფესორი ლია დავითაძე თავის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში საუბრობს ტურინის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტსა და ფიატის ავტოსამშენებლო ქარხანას შორის მჭიდრო თანამშრომლობის მაგალითებზე, საინჟინრო კურიკულუმში სამ-



მართულების პროფესორებისა და კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომელთან ერთად (პროფ. ზურაბ მეგრელიშვილი, ასოც. პროფ. ლელა თურმანიძე, ასოც. პროფ. დარეჯან ჯაში, მეცნიერ-თანამშრომლები გურამ მემარნე, მარია მეტრეველი, რაულ გოცირიძე) მუშაობს გარემოს ინჟინერიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავებაზე.

პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევებმა და შედარებით ანალიზმა წარმოაჩინა ქართული უნივერსიტეტების წინაშე არსებული მნიშვნელოვანი პრობლემა: თანამედროვე ლაბორატორიებისა და მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში აღიარებული სახელმძღვანელოების სიმწირე, არსებულ ლიტერატურასთან მისაწვდომო-

„ინგლისური ფილოლოგია“, მოიპოვა 10-თვიანი მობილობის გრანტი პოლონეთში, - (University of Warsaw);

3. ლანა ბურკაძე — მაგისტრატურა, სწავლების მეორე წელი, მოიპოვა 10 თვიანი მობილობის გრანტი პოლონეთში, სადოქტორო პროგრამაზე, - (University of Warsaw).

4. ნათია აბაშიძე — ასისტენტ პროფესორი, მოიპოვა 6-თვიანი მობილობის გრანტი სადოქტორო შემდგომი კვლევებისთვის იტალიაში, - (University of Pavia);

5. ქეთევან სვანიძე — ასოცირებული პროფესორი, 10-თვიანი მობილობის გრანტი პოსტსადოქტორო კვლევებისთვის იტალიაში (University of Pavia).

## ELECTRA

1. ნინო გოჩიტიძე — ბაკალავრიატი, სწავლების მესამე წელი, სპეციალობა „ტრანსპორტი“, მოიპოვა 10-თვიანი მობილობის გრანტი ბულგარეთში, (University of Chemical Technology and Metallurgy);

2. თონა მეგრელიძე — მაგისტრატურა, სწავლების მეორე წელი, მოიპოვა 10-თვიანი მობილობის გრანტი პორტუგალიაში (Universidade do Minho);

3. ელზა ჯინჭარაძე — მაგისტრატურა, სწავლების პირველი წელი, სპეციალობა „ბიზნეს ინფორმატიკა“, მოიპოვა 10-თვიანი მობილობის გრანტი პოლონეთში (Jagiellonian University);

4. ეთერ მეგლაძე — ბაკალავრიატი, სწავლების მესამე წელი, სპეციალობა „ქიმია“, მოიპოვა 6-თვიანი მობილობის გრანტი პორტუგალიაში (Universidade do Minho);

5. ნინო ლომთათიძე — ასოცირებული პროფესორი, მოიპოვა ერთთვიანი მობილობის გრანტი, ბულგარეთში (University of Chemical Technology and Metallurgy);

6. ქეთევან ფუტყარაძე — ბაკალავრიატი, სწავლების მეორე წელი, სპეციალობა „ტურიზმი“, მოიპოვა 10-თვიანი მობილობის გრანტი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ულოცავს ბუს-ს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს კონკურსში გამარჯვებას და წარმატებებს უსურვებს მათ.



რეწველო პრაქტიკის მნიშვნელობაზე. იტალიის გამოცდილებით, სანარმოო პრაქტიკა აუცილებელი კომპონენტია საინჟინრო პროგრამებში, წარმოების მოთხოვნებსა და საჭიროებებს მორგებული სამაგისტრო და სადოქტორო კვლევებიც.

პროექტის გუნდმა გამოიკვლია რეგიონის საჭიროებები, ამ ეტაპზე სპეციალისტები ნაკლებია გარემოს ინჟინერიის სპეციალობის მიმართულებით, ჩვენი კვლევითი ინსტიტუტები და ცალკეული სამეცნიერო პერსონალი ასრულებს სხვადასხვა ორგანიზაციის დაკვეთას სურსათის უვნებლობის, წყლის რესურსების უსაფრთხო გამოყენების, მოსალოდნელი ეკოლოგიური საფრთხეების და ა. შ. კვლევების ჩასატარებლად.

პროექტის გუნდი ტექნოლოგიური მი-

ბას ხშირად ინგლისური და სხვა უცხო ენების ცოდნის შედარებით დაბალი დონე ართულებს.

პროექტის გუნდი გამოიყენებს შესაძლებლობას პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდეს ინტერდისციპლინარული სასწავლო კურსები: გამოყენებითი ეკოლოგია, სტატისტიკა, კვლევის მეთოდები, პატენტთა ცოდნა, პროექტების მართვა და არჩევითი კურსების სახით იქნას შეთავაზებული სხვადასხვა სპეციალობის სტრუქტურისთვის. ზემოთ აღნიშნულ აქტივობებთან ერთად, მნიშვნელოვანია პროექტში გათვალისწინებული ევროს ოდენობით 28 260 ევროს ღირებულების აპარატურისა და სახელმძღვანელოების შექმნა ჩვენი უნივერსიტეტისთვის.

## ერაზმუს მუნდუსის გაცვლითი პროექტების გრანტის მფლობელები

დასრულდა ერაზმუს მუნდუსის გაცვლითი პროექტების „WEBB“-ის და „ELECTRA“-ს მეორე ეტაპის მობილობისთვის გამოცხადებული კონკურსი. ევროპაში მობილობის გრანტი მოიპოვეს შემდეგმა კონკურსანტებმა:

### WEBB

1. ედნარ არძენაძე — ბაკალავრიატი, სწავლების მესამე წელი, სპეციალობა „ტურიზმი“, მოიპოვა 10-თვიანი მობილობის გრანტი იტალიაში, - (University of Pavia);

2. ირმა ხუნდაძე — ბაკალავრიატი, სწავლების მესამე წელი, სპეციალობა





# 1918 წლის 26 მაისი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა

ქართველ ხალხს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არავითარ მომენტზე დაკარგული სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლა. XIX ს. დასაწყისში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. ქართველობა ყველა შესაძლო საშუალებით იბრძოდა ცარიზმის ბატონობისგან გასათავისუფლებლად, რაც შესაძლებელი იქნა მხოლოდ იმის მინერულს გახდა.

1917 წლის თებერვლის დემოკრატიულმა რევოლუციამ რუსეთში დაიწყო მეფის თვითმკაცრობის რეჟიმის და იმდენ მისცა იმპერიაში შემაჯავლ აარუს ხალხებს მოეპოვებინათ ეროვნული დამოუკიდებლობა.

მონარქიის დაცემას რუსეთში მოჰყვა მისი ხელისუფლების ინსტიტუტის - კავკასიის სამეფოსნაცვლის გაუქმებაც. ამიერკავკასიაში შეიქმნა რუსეთის დროებითი მთავრობის ხელისუფლების ორგანო ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი). იგი ამიერკავკასიის დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში მოიაზრებდა.

საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენისათვის განსაკუთრებით აქტიურად იბრძოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. 1917 წლის აპრილში ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ინიციატივით შეიქმნა „ინტერპარტიული საბჭო“, ხოლო აგვისტოში შედგა ამ საბჭოს დამფუძნებელი კონფერენცია „ინტერპარტიული საბჭოში“ გაერთიანდნენ სოციალ-დემოკრატიები, სოციალ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატიები და სხვა პოლიტიკური პარტიები გაერთიანდნენ ერთიანი პარტიისა.

მხოლოდ ომი გრძელდებოდა და გაურკვეველი იყო თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები რუსეთში. აუცილებელი იყო ქართული პოლიტიკური ძალების შეთანხმებული მოქმედება, რაც დღის წესრიგში აყენებდა ეროვნული ყრილობის მოწვევის აუცილებლობას.

„ინტერპარტიული საჭოს“ ინიციატივით 1917 წ. 19 ნოემბერს თბილისში გაიხსნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. მას სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებიდან 324 დელეგატი ესწრებოდა. ყრილობა „ინტერპარტიული საბჭოს“ სახელით გახსნა აკაკი ჩხენკელმა. დამტკიცებულ იქნა ყრილობის დღის წესრიგი. დღის წესრიგის პირველ საკითხზე „თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი“ მოხსენება გააკეთა ნოე ჟორდანიამ. ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სოციალ-დემოკრატიის დამფუძნებელი კრებაზე მოეთხოვათ საქართველოსთვის ფართო თვითმმართველობა. ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის წევრები აჭარდებდა განდგენ-ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი, მემედ ბეგ აბაშიძე, რევეზ ნიჟარაძე. 26 ნოემბერს ეროვნული საბჭოს სხდომაზე არჩეულ იქნა 15 კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით.

ამრიგად, შეიქმნა ეროვნული დანესხებულება, რომელსაც, ჯერ კიდევ არ გააჩნდა რეალური ძალაუფლება, მაგრამ მონოდებული იყო მომავალში გამადარისო საქართველოს ხელისუფლების დამფუძნებელი.

1917 წ. 7 ნოემბერს რუსეთში დაემხო დროებითი მთავრობა და ბოლშევიკებმა ძალაუფლება ხელში აიღეს. დროებითი მთავრობის დამხობას მოჰყვა ამიერკავკასიაში ოზაკომის გაუქმებაც. ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა გადაწყვიტეს გამიჯნოდნენ ბოლშევიკურ რეჟიმს რუსეთში და შეექმნათ დროებითი მმართველობა.

1917 წ. 15 ნოემბერს შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომლის თავმჯდომარედ, კომისარსა და საგარეო საქმეების კომისარად დაინიშნა ე. გეგეჭკორი. 18 ნოემბერს ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემულ პირველივე დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ „კომისარიატის ხელისუფლება დროებითაა, სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე“.

პირველი მსოფლიო ომის გრძელდებოდა, რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა ლენინის ხელმძღვანელობით ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით აუცილებლად თვლიდა გერმანიასა და მის მოკავშირეებთან მოლაპარაკების დანებას. რუსეთთან ზავის დადებით და ომის შეწყვეტით განსაკუთრებით დანიტერესებული იყო თურქეთი, რადგან იგი ომს აწარმოებდა ანტანტის ქვეყნებთან და მარცხს მარცხზე განიცდიდა.

1917 წ. 17 (30) ნოემბერს კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა პრეველსკიმ წერილი მიიღო კავკასიის ფრონტის თურქეთის ჯარების მთავარსარდლის გენერალ ვეკიბ ფაშასგან, რომელიც წინადადებას იძლეოდა დაეწყოთ მოლაპარაკება დროებით ზავის დადების მიზნით.

5 (18) დეკემბერს ერზინჯანში ხელმოწერილ იქნა დროებითი ზავი. დაზავების შემდეგ დაიწყო რუსეთის ჯარის გამოყვანა თურქეთის ტერიტორიიდან. მაღელ რუსეთში მოვლენები რადიკალურად შეიცვალა. 1918 წლის 6 იანვარს ლენინის მითითებით გარეკეს დამფუძნებელი კრება, რომლის მოწვევასაც ასე მოუთმენლად ელოდნენ ამიერკავკასიის პოლიტიკური ძალები. 12 იანვარს თბილისში ცნობილი გახდა ეს ფაქტი. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის კომისარიატის წინაშე აღტერნატივა დადგა: მას ან უნდა ეცნო ბოლშევიკების მთავრობა და მასთან ერთად დაეწყო საზავო მოლაპარაკება, ან დამოუკიდებლად გაემართა მოლაპარაკება თურქეთთან. კომისარიატმა მეორე გზა აირჩია.

ბოლშევიკების მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ ე. გეგეჭკორის აზრით, ამიერკავკასიის კანონიერი მთავრობის შესაქმნელად არსებობდა მხოლოდ ერთი გზა - დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი დელეგატების მოწვევით სემინის შექმნა, რომელიც პარლამენტის - საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას შეასრულებდა. სემინის მოწვევის იდეა მოწონებულ იქნა. მას მხარი დაუჭირეს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა.

10 (23) თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატის თაოსნობით მოინველი იქნა სემინი. მასში შევიდნენ რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატები, რომლებიც არჩეული იყვნენ ამიერკავკასიიდან და სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები. ამიერკავკასიის სემინის შექმნა არსებითად ნიშნავდა ოპორტიუნალად ამიერკავკასიის გამო-

თის საბჭოთა საზავო დელეგაციის მდინის კარახანის მიერ ხელმოწერილი დეკლარაცია, რომელიც ეწერა: „თვითგამორკვევის გზით რუსეთს უნდა ჩამოშორდეს არტანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები“. ფაქტიურად რუსეთმა თურქეთს „დაუთმო“ ქართული და სომხური ტერიტორიები. ამ დეკლარაციამ ამიერკავკასიის მთავრობის დიდი პროტესტი გამოიწვია. თურქეთი, თავის მხრივ, ჩქარობდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების რეალიზაციას. გადანყდა თურქეთთან საზავო მოლაპარაკებების დანყება.

22 თებერვალს (7 მარტს) ამიერკავკასიის დელეგაცია თბილისიდან გაემგზავრა, მეორე დღეს ბათუმში ჩავიდა და იქიდან კრისერ „კაროლ კარლოსით“ ტრაპიზონში გაემგზავრა. ამიერკავკასიის დელეგაცია, შეიარაღებული დაცვის ჩათვლით, 100-მდე კაცს ითვლიდა. 23 თებერვალს (8 მარტს) დელეგაცია ტრაპიზონში ჩავიდა. ოსმალეთი არ ჩქარობდა კონფერენციის დაწყებას მისი დელეგაცია ტრაპიზონში მხოლოდ, ოთხი დღის დაგვიანებით ჩავიდა. ამასთანავე თურქეთის დელეგაცია მცირერიცხოვანი (სულ 5 კაცი) იყო და მეორეხარისხოვანი თანამდებობის პირებისაგან შედგებოდა. თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარეობდა ჰუსეინ რაფუ ბეი, პირველი რანგის კაპიტანი, საზღვაო დეპარტამენტის შტაბის უფროსი.

ტრაპიზონის კონფერენციის მსვლელობის დროს ჩატარდა ექვსი პლენალური სხდომა და ორი არაოფიციალური შეხვედრა. თურქეთის მხარე ამიერკავკასიის დელეგაციისგან მოითხოვდა: 1. გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა, 2. ეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება და მისთვის გადაეცა არტანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები. კონფერენციის მსვლელობის დროს ცხადი გახდა, რომ თურქეთის დელეგაცია რაიმე კომპრომისზე ნასვლას არ არ აპირებდა. ამიტომ ამიერკავკასიის მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, რათა თავიდან აეცილებინა თურქეთთან ომი.

ტრაპიზონის კონფერენციის დროს გამოაჟარადა წინააღმდეგობა თვით ამიერკავკასიის დელეგაციის წევრებს შორის. აშკარა იყო დელეგაციის აზროვნების პროთურქული ორიენტაცია. ამასთან, ყოველი ეროვნული ჯგუფის წარმომადგენელი ცდილობდა დაეკავებინა თურქეთის ტერიტორიულპრეტენზიები თავისი მეზობლის ხარჯზე.

23 მარტს (5 აპრილს) ამიერკავკასიის დელეგაცია ერთგვარ დათმობაზე წავიდა. თურქეთის ხელში გადადიოდა ოლთისის მხარე მთლიანად, არტანის ოლქის სამხრეთი ნაწილი, ყარსის ოლქის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და ყალიზმანის დასავლეთი ნაწილი, მაგრამ ეს დათმობა თურქეთს ეცოტავა, არ დათანხმდა და 24 მარტს (6 აპრილს) აკაკი ჩხენკელმა მიიღო ულტიმატუმი - 48 საათის განმავლობაში გაეცა პასუხი - დელეგაციამ თუ არა იგი ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებს. 26 მარტს (8 აპრილს) თურქეთის ჯარებმა მიიღეს ბრძანება დაეწყოთ შეტევა ამიერკავკასიის ქვეყნებში.

შემოჭრილ ოსმალეთის ჯარს დახვდნენ არარეგულარული სომხეთა და ქართველთა რაზმები, რომელთაც ვერ შექცეს მტრის შეჩერება. გასაგებია, რომ ამ პირობებში ა. ჩხენკელი იძულებული შეიქმნა უკან დაეხია და ეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას. ამ წინადადებით მან მიმართა თურქეთის დელეგაციას 28 მარტს (10 აპრილს).

თურქეთის დელეგაციის ძირითადი მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა - ამიერკავკასიის მთავრობამ იცნო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები, მაგრამ თურქეთის მთავრობამ უკვე ახალი ტერიტორიული მოთხოვნები წარმოადგინა. ასეთ მიმდინავე რთულ ვითარებაში 31 მარტს (13 აპრილს) ჩატარდა ამიერკავკასიის მთავრობის, სემინის პრეზიდიუმისა და ფრაქციების წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც მიღებულ იქნა ირაკლი (კაკი) ნერეთლის რეზოლუცია - გამოწვეულ იქნას ტრაპიზონიდან საზავო დელეგაცია.

სემინმა მიიღო მანიფესტი ამიერკავკასიის ერებისადმი: სამშობლო განსაცდელშია. მთავრობამ გამოაცხადა საყოველთაო მომიჯნავე. ყალიბდებოდა მოხალისეთა რაზმები, დაიწყო იარაღის შეგროვება და სხვ. ამიერკავკასიის მუსლიმური მოსახლეობა ომში მონაწილეობას არ იღებდა, ამიტომ მთელი სიმძიმე ქართველებსა და სომხებს დაწვა.

ამ განსაცდელის ჟამს ვერ მოხერხდა ძალების კონსოლიდაცია. მიუხედავად ქართველებისა და სომხების თავგანწირული ბრძოლისა, მათ ვერ შეძლეს თურქეთის რეგულარული ჯარის შეტევის შეჩერება და თანდათან უკან იხედავდნენ. 2 (15) აპრილს ოსმალებმა ბათუმში დაიკავეს, 4 (17) აპრილს - ოზურგეთი. შემდეგ გაიმართა ბრძოლა მდ. ჩოლოქთან, სადაც ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ. ამის მიუხედავად, მათ შეძლეს თითქმის მთელი მესხეთისა და სომხეთის ტერიტორიის ნაწილის დაკავება. ამ წინს განმავლობაში (9 აპრილიდან 23 აპრილამდე) თურქეთის ჯარმა გაცილებით უფრო ვრცელი ტერიტორია დაიკავა, ვიდრე ეს იყო დადგენილი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით. ასეთ ვითარებაში ომის გაგრძელება შეუძლებელი იყო.

სემინმა დააკმაყოფილა თურქეთის მოთხოვნა და ამიერკავკასია დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკად გამოაცხადა.

ე. გემეჭკორის მთავრობა გადადგა და ახალი მთავრობის შედგენა დაევალა ა. ჩხენკელს, მანვე დაიკავა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. აკ. ჩხენკელმა აცნობა თურქეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს, რომ ამიერკავკასიის მთავრობას სურვილი აქვს განაახლოს მოლაპარაკება, ხოლო ოსმალეთის კავკასიის ფრონტის მთავარსარდალს ვეკიბ ფაშას სთხოვა შეეჩერებინა საომარი მოქმედება, ვიდრე არ დათავრდება საზავო მოლაპარაკება. მაგრამ თურქებმა მინც დაარღვიეს პირობა, დაიკავეს ყარსი და გაემართნენ ალექსანდრეპოლისაკენ. აკ. ჩხენკელმა პროტესტი გამოაცხადა ოსმალთა ამ მოქმედების გამო, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

11 (24) აპრილს ვეკიბ ფაშამ შეატყობინა აკაკი ჩხენკელს: 1. თურქეთის მთავრობამ იცნო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. 2. თურქეთის მთავრობამ მიიღო ამიერკავკასიის დელეგაციის წინადადება ბათუმში მოლაპარაკების განახლებაზე.

ამიერკავკასიის მთავრობამ დაამტკიცა ბათუმის კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგაცია 45 კაცის შემადგენლობით. დელეგაციის ხელმძღვანელობდა აკაკი ჩხენკელი. 6 მაისს ამიერკავკასიის დელეგაცია ბათუმში ჩავიდა, მაგრამ არა როგორც მასპინძელი, არამედ ოსმალეთის სტუმარი. თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარე იყო პალი-ბეი, ოუსტიციისა და დროებით საგარეო საქმეთა მინისტრი. გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე იყო გენერალ-მაიორი ფონ ლოსოვი, გერმანელთა მთავარი შტაბის რწმუნებული სტამბოლში.

თურქეთის მთავრობის ინიციატივით ბათუმში ჩამოვიდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის დელეგაცია. მათი მოლაპარაკების მიზანი იყო, თურქეთის ხელმძღვანეობით, ჩრდილოეთ კავკასიის შემერთობა ამიერკავკასიასთან.

11 მაისს გაიხსნა ბათუმის სამშვიდობო კონფერენცია. თითქოს ისე ჩანდა, რომ ბათუმის კონფერენციაზე რაიმე არსებითი პრობლემა აღარ წამოიჭრებოდა, რადგან ყოველივე მოგვარდა ტრაპიზონის კონფერენციაზე. მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

ამიერკავკასიის დელეგაციას. ამ საზავო ხელშეკრულების პირობები გაცილებით უფრო მძიმე და კაბალური იყო ბრესტ-ლიტოვსკის ანალოგიურ დოკუმენტთან შედარებით. განსაკუთრებით აღმაფიქრებელი იყო ტერიტორიული პრეტენზიები: თურქეთი აღარ კმაყოფილდებოდა ყარსის, არტანისა და ბათუმის მხარეების შემერთებით და დამატებით მოითხოვდა ახალქალაქის, ახალციხის, ალექსანდროპოლის, ენჭიანისა და სურმალინის მხარეების გადაცემას. ამრიგად, თურქები ცდილობდნენ მიეღწიათ რუსეთ-თურქეთს შორის 1829 წლამდე არსებული საზღვრის აღდგენას.

ამიერკავკასიის დელეგაციამ უარყო თურქეთის ეს მემორანდუმი და განაცხადა, რომ ვერავითარ ახალ ტერიტორიულ დათმობაზე ვერ წავიდოდა. თურქეთის ჯარი კი წინ მიიხედა.

19 მაისს გერმანიის წარმომადგენელმა ფონ ლოსოვმა ამიერკავკასიის დელეგაციას აცნობა: იწინააღმდეგეთქვენსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკება წინ არ მიიწევს. წინადადება ვიდრე მიიხმაროთ ჩემი კეთილი მუხამდგომლობა. გერმანიის დელეგაცია არ იყო დანიტერესებული თურქეთის პოზიციების ესოდენ გადღვირებით და ცდილობდა თურქეთის პრეტენზიები შემოეფარებინა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობებით.

ბათუმის კონფერენციის მსვლელობის დროს კიდევ უფრო გამწვავდა უთანხმოებანი დელეგაციის წევრებს შორის. არსებობდა შეუძლებელი გახდა კონფერენციის წარმატებით დასრულება და დადგა საკითხი ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შესახებ.

ბათუმში კონფერენციაზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, აკ. ჩხენკელი



იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აუცილებლად იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. 15 მაისს აკ. ჩხენკელი მოუწოდებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს: „საქართველოს დამოუკიდებლობა, აი პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას.“ ვითარების გასარკვევად ბათუმში გამოძახებულ იქნა ნოე ჟორდანი. იგი მოეწონებოდა წერს, ბათუმშიან მივიღო დეპუტატი, ჩავეიდი, დამხვდა შემზარავი სურათი. მივედით იმ დასკვნამდე, რომ შექმნილ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი: სემინის დაშლა და სამი ერის მიერ თავ-თავისი დამოუკიდებლობის გამოცხადება...“

21 მაისს ნ. ჟორდანი თბილისში დაბრუნდა და ნერვიულად მოკიდა ხელი დასახული ამოცანის განხორციელებას. 26 მაისს გაიხსნა სემინის სხდომა. რომელმაც, მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლის შესახებ.

კვირას 26 მაისს ნაშუადღევს 4სთ. 50 წთ. მიწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. იგი გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, რომელმაც შეკრებულთ სიტყვით მიმართა. შემდეგ მან წაიკითხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „დამოუკიდებლობის აქტი“, რომელიც აცხადებდა, რომ ამიერიდან საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და მისი მმართველობის პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველ თავმჯდომარედ და შინაგან საქმეთა მინისტრად არჩეულ იქნა ნოე რამიშვილი.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს ახალ ისტორიაში უდიდესი მოვლენაა. დამოუკიდებლობის აღდგენის წარმატებით დასრულდა ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის წარმოებული ხანგრძლივი და დაძაბული ბრძოლა.



# ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## გუბინ - დღეს - ხვალ

ფიზიკა—მათემატიკის ფაკულტეტი პრაქტიკულად დასაბამს იღებს ბათუმის-პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსებიდან. უფრო კონკრეტულად კი ფაკულტეტი შეიქმნა 1946 წელს, როდესაც ის ჩამოყალიბდა ბათუმის სამასწავლებლო სასწავლებლის მათემატიკის ფაკულტეტის ბაზაზე. ფაკულტეტის პირველი დეკანი იყო დოც. ნ. ლომჯარია, ხოლო შემდეგში ამ თანამდებობაზე მუშაობდნენ უ/მ მიშა გადახაბაძე, დოც. ალექსანდრე ბერაძე, დოც. გივი ხუხუნაიშვილი, დოც. შალვა ბახტაძე.

2006 წლიდან საქართველოში უმაღლესი განათლების ძირეული რეფორმები და რეორგანიზაციები რატიქმუნდა ფაკულტეტსაც შეეხო. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომლის დეკანიც იყო ასოც. პროფ. ლევა თურმანიძე. 2007 წლიდან ფაკულ-

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

- ფიზიკა — ხელმძღვანელი სრული პროფესორი ნუგზარ ლომიძე
- გამოყენებითი ფიზიკა - ხელმძღვანელები: სრული პროფესორი ნუგზარ ლომიძე, ასოც. პროფესორი ლალი კალანდაძე
- მათემატიკა - ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ვლადიმერ ბალაძე
- ფინასური მათემატიკა - ხელმძღვანელები: სრული პროფესორი ვლადიმერ ბალაძე, ასოც. პროფესორი ანზორ ბერიძე
- კომპიუტერული მეცნიერებები - ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი გულადი ფარტენაძე

ზარ ლომიძე, ხოლო 2013 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს ასოც. პროფ. ლალი კალანდაძე. ფიზიკის დეპარტამენტში მოღვაწეობს: 2 სრული პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტი პროფესორი და აერთიანებს შემდეგ პროგრამულ მიმართულებებს:

- ფუნდამენტური ფიზიკის პროგრამული მიმართულება
- გამოყენებითი ფიზიკისა და რადიოფიზიკის პროგრამული მიმართულება

2006-2013 წლებში მათემატიკის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა პროფ. ვლადიმერ ბალაძე, 2013 წლიდან დღემდე კი ხელმძღვანელობს ასოც. პროფ. დალი მახარაძე. მათემატიკის დეპარტამენტში მოღვაწეობს: 3 სრული, 7 ასოცირებული, 3 ასისტენტი პროფესორი დეპარტამენტი აერთიანებს შემდეგ პროგრამულ მიმართულებებს:

**Microsoft Excel XP** (პრაქტიკულ სავარჯიშოთა კრებული) ბათუმი 2004 (ავტორები თ.ხინკაძე, ზ.სურმანიძე). ტესტები გამოთვლით ტექნიკასა და ინფორმატიკაში. ბათუმი 2005 (ავტორები ზ.სურმანიძე, დ.დევაძე, ვ.ბერიძე).

- თანადობისკრიტიკების გამოყენება წყლის ქიმიური დამუშავების პროცესში. ბათუმი 2006 (ავტორები: ზ.მეგრელიშვილი, ი.დიდმანიძე, ზ.ბერიძე, მ.დევაძე, დ.დიდმანიძე);
- ПЕРСПЕКТИВЫ МЕЖДУНАРОДНОЙ ПОДГОТОВКИ НОСИТЕЛЕЙ ИНСТРУМЕНТАЛЬНОГО ЗНАНИЯ. Батуми-2008 (И.Дидмანიძე, 3.Мегрелишვილი, К.Пахотин, А.Шаташвили, 3.Беридзе);

**Microsoft Access** (პრაქტიკულ სავარჯიშოთა კრებული) ბათუმი 2008 (ავტორები თ.ხინკაძე, ზ.სურმანიძე);

- Microsoft Excel ბათუმი. 2008 (ავტორები თ.ხინკაძე, ზ.სურმანიძე);
- კომპიუტერული ტექნოლოგიები. ბათუმი 2008 (ავტორი ზ.სურმანიძე);
- ელექტრონული მოწყობილობების ოპტიმალური დაპროექტების ავტომატიზებული სისტემის შემუშავება პერსონალური კომპიუტერის ბაზაზე. ბათუმი 2009 (ავტორი მ. დონაძე);
- კომპიუტერთან მუშაობის უნარჩვევები. ბათუმი 2009 (ავტორი ზ.სურმანიძე);
- მათემატიკური პროგრამირება. 2009 წელი (ავტორები: კ.გელაშვილი, დ.დევაძე და სხვები);
- ფიზიკა, 2013 წელი (ავტორები: ხ.ლომიძე, ნ.ლომიძე);
- Complete Semigroups of Binary Relations, 2013 (Ya. Diasamidze, Sh. Makharadze);
- უწყვეტი ჯგუფები, 2012 (ავტორი თ.სურმანიძე);
- ნატურალური რიცხვთა სამყაროში, 2013 (ავტორი თ. ნულუქიძე);
- პეკატე-20, ნახევტი, 2010 (მ.მახარაძე);
- Полные подгруппы бинарных отношений, печатный, 2010 (მ.მახარაძე);
- რიცხვითი სისტემები, 2012 (მ.მახარაძე).
- Complete semigroups of binary relations (ი.დიასამიძე, მ.მახარაძე)

**Ukraine (516613-TEMPUS-1-2011-1-BE-TEMPUSJPHES);**  
Erasmus Mundus Project - "ELECTRA";  
Erasmus Mundus Project - "WEBB";  
Erasmus Mundus Project - "ALRAKIS".

გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და სტიპენდია გავლიდან ასოც. პროფ. ციცილი სარაჯიშვილი (Erasmus Mundus, proecti „Electra“, სოფია, ბულგარეთი), ასოც.პროფ. ანზორ ბერიძე, ასოც.პროფ. გულადი ფარტენაძე. ამჯერად გაცვლით პროგრამებში სწავლას განაგრძობს ფაკულტეტის 5 სტუდენტი.

ფაკულტეტის აკადემიური პირები აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო საგანტო პროექტებში. მხოლოდ ფიზიკის დეპარტამენტის აკადემიური პირების მონაწილეობით 2006 წლიდან დღემდე შესრულდა და სრულდება 5 მსხვილი-ჯეტინი სამეცნიერო საგანტო პროექტი, რომელშიც ჩართულა 15-მდე მკვლევარი, დოქტორანტები და მაგისტრანტები:



ტეტს გამოეყო ფიზიკის მიმართულება, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტს მიუერთდა. მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებათა მიმართულებების ბაზაზე ჩამოყალიბდა მათემატიკური და კომპიუტერული მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფაკულტეტის დეკანი იყო ასოც. პროფ. ანზორ ბერიძე. 2010 წლიდან 2013 წლამდე ფიზიკისა, მათემატიკის და კომპიუტერული მეცნიერებათა მიმართულებები და შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტები შედიოდნენ განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში. ფაკულტეტის დეკანი ამ პერიოდში იყო ასოც. პროფ. მარინა ქორიძე.

• კომპიუტერული მათემატიკა - ხელმძღვანელები: სრული პროფესორი დავით დევაძე, სრული პროფესორი ვლადიმერ ბალაძე.

**სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

- რადიოფიზიკა - ხელმძღვანელი სრული პროფესორი ნუგზარ ლომიძე
- მათემატიკა - ხელმძღვანელი სრული პროფესორი ვლადიმერ ბალაძე
- ბიზნეს ინფორმატიკა - ხელმძღვანელები: სრული პროფესორი დავით დევაძე, ასოც. პროფ. ასიკო ცინცაძე

• ევოლუტორია-ტოპოლოგიის პროგრამული მიმართულება;

- მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორიის პროგრამული მიმართულება;
- მათემატიკური ანალიზის, ალბათობისა და სტატისტიკის პროგრამული მიმართულება;
- მათემატიკის დაფუნდებისა და მეთოდის პროგრამული მიმართულება.

2006-2013 წლებში კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა სრ.პროფ. იბრაიმ დიდმანიძე, 2013 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს პროფ. დავით დევაძე. კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი აერთიანებს შემდეგ პროგრამულ მიმართულებებს:

- დაპროგრამების ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ბაზების პროგრამული მიმართულება;
- ალგორითმებისა და გამოთვლების მეთოდების პროგრამული მიმართულება;
- კომპიუტერული სისტემების არქიტექტურისა და ქსელების პროგრამული მიმართულება;
- კომპიუტინგის/ინფორმატიკის განათლების პროგრამული მიმართულება.

**Complete semigroups of binary relations** (ი.დიასამიძე, მ.მახარაძე)

ფაკულტეტის აკადემიური პირები აქტიურად არიან ჩართული თემპუს, Erasmus Mundus, Melvana-ს გაცვლით და სასწავლო პროგრამებში. აღსანიშნავია, რომ მათემატიკის დეპარტამენტის ასოც. პროფ. ლევა თურმანიძე რამდენიმე პროექტის კოორდინატორია.

- 511035-TEMPUS-1-2010-1-DE-TEMPUS-SMGR - Promoting Internationalization and Comparability of Quality Assurance in Higher Education;
- MASTER IN HIGHER EDUCATION MANAGEMENT: DEVELOPING LEADERS FOR MANAGING EDUCATIONAL TRANSFORMATION (530 311-TEMPUS-1-2012-1-AM-TEMPUS-JPCR)- Modernizing higher engineering education in Georgia, Ukraine and Uzbekistan to meet the tech-


2006-2008. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საგრანტო პროექტი „გაბნეული ელექტრომაგნიტური ტალღების სტატისტიკური მახასიათებლების შესწავლა და ტალღური პროცესები ტურბულენტურ ატმოსფეროში“ (GNSF/ST06/5-023) - მეცნიერ-ხელმძღვანელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფ. გიორგი ჯანდიერი, ძირითადი შემსრულებელი პროფ. ჟუჟუნა დიასამიძე, პროფ. ნუგზარ ლომიძე.

2006-2009.სამეცნიერო გრანტის ISTC (International Science and Technology Center) # G-1376 "Development and Application of Electromagnetic Waves Propagation in a Turbulent Anisotropic Absorptive Media" (2006-2009), „ტურბულენტურ ანიზოტროპულ შთანთქმად გარემოებში ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელების თავისებურებების შესწავლის განვითარება და გამოყენება“. მეცნიერ-ხელმძღვანელი გიორგი ჯანდიერი (web-page: <http://www.istc.ru>), ძირითადი შემსრულებელი პროფ. ჟუჟუნა დიასამიძე.

2009-2012. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საგრანტო პროექტი „ბათუმის პორტის აკვატორი ეკოლოგიური მონიტორინგი ლაზერული სპექტროსკოპის მეთოდით და ტალღური პროცესების შესწავლა რეალურ გარემოში“ (GNSF/ST08/5-451) - მეცნიერი და მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფ. ნუგზარ ლომიძე.

2012. Marie Curie's International Research Staff Exchange Scheme Grants FP7-PEOPLE-2012-IRSES, 317721. ხელმძღვანელი ვასლო კოსმა (დებრეცენის უნივერსიტეტი, უნგრეთი), შემსრულებლები: პროფ. დავით დევაძე, ასოც. პროფ. ციცილი სარაჯიშვილი.

2013-2016. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. სამეცნიერო საგრანტო პროექტი „გარემოს რადიო სპექტრალური დიაგნოსტიკა სივანლისა



**სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**

- ფიზიკა - ხელმძღვანელები: სრული პროფესორი ჟუჟუნა დიასამიძე, სრული პროფესორი ნუგზარ ლომიძე
- ევოლუტორია-ტოპოლოგია - ხელმძღვანელი სრული პროფესორი ვლადიმერ ბალაძე
- თანამედროვე ალგებრა (ნახევარჯგუფები) - ხელმძღვანელი სრული პროფესორი იაშა დიასამიძე

ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წლების განმავლობაში აერთიანებდა მათემატიკის, ზოგადი ფიზიკის, თეორიული ფიზიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და ინფორმატიკის და ზოგადტექნიკური დისციპლინებისა და შრომის კათედრებს. ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში შედიოდა მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, ფიზიკის, პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის დეპარტამენტები. დღესათვის ფაკულტეტზე არსებობს ფიზიკის, მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტები. დეპარტამენტები ახორციელებენ სასწავლო პროცესს, როგორც ფიზიკის, მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ასევე სხვადასხვა ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

2006-2013 წლებში ფიზიკის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა პროფ. ნუგ-

გენს ფაკულტეტის საბჭო, რომელშიდაც შედის ყველა აკადემიური პირი. დღეისათვის ფაკულტეტზე სულ 30 აკადემიური პირი განაგებს სასწავლო და სამეცნიერო პროცესს. ფაკულტეტის მართვის ორგანოს წარმოადგენს, აგრეთვე სადირექტაციო საბჭო, რომელიც აერთიანებს ყველა აკადემიურ პირს ასისტენტი პროფესორების გარდა (სულ 22 აკადემიური პირი) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის უფროსადაც არჩეული იქნა პროფ. ნუგზარ ლომიძე.

აკადემიური პირები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო და სამეცნიერო საგანტო პროექტებში.

უკანასკნელ პერიოდში ფაკულტეტზე შეიქმნა სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოები:

- „Microsoft Word“ (ავტორები დ. დევაძე, ა. ნადარეიშვილი).
- „პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური დაპროგრამული უზრუნველყოფის საფუძვლები“ (ავტორები დ. დევაძე, თ. ხინკაძე, ზ. სურმანიძე).
- ინფორმატიკა. ბათუმი 2002 (ავტორი ზ.სურმანიძე).
- სავარჯიშოები Microsoft Windows XP—ში. ბათუმი 2003 (ავტორი ზ.სურმანიძე).
- სავარჯიშოები Microsoft Word XP—ში. ბათუმი 2003 (ავტორები დ.დევაძე, ზ.სურმანიძე)

ნოლოჯი challenge (530244-TEMPUS-1-2012-1-SE-TEMPUS-JPCR);

- INTEGRATED UNIVERSITY MANAGEMENT SYSTEM: EU EXPERIENCE ON NIS COUNTRIES' GROUND. (530181-TEMPUS-1-2012-1-DE-TEMPUS-SMGR);
- Building capacity for university-enterprise partnerships towards competency based training in Armenia, Georgia and

და გარემოს დისპერსიულ მახასიათებლებს შორის კორელაციური ურთიერთკავშირის საფუძვლებზე“ (FR/640/6-110/12) —მეცნიერ-ხელმძღვანელი ასისტ. პროფ. იზოლდა ჯანბიძე.

ფაკულტეტის აკადემიური პირები არიან ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტების მფლობელები:

2013 წლიდან ფიზიკის, მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა დარგობრივ დეპარტამენტების აკადემიური პირების ძალისხმევით და რა თქმა უნდა უნივერსიტეტის რექტორატის მხარდაჭერით, მაღალი ტრადიციების მქონე ფიზიკა—მათემატიკის ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა ფიზიკა—მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ფაკულტეტის ხელმძღვანლად არჩეული იქნა პერსპექტიული, ნიჭიერი ახალგაზრდა პიროვნება, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოც. პროფ. გულადი ფარტენაძე.

**უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

- კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ტექნიკოსი (IV დონე) — ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მიხეილ დონაძე
- ინტერნეტ ტექნოლოგი (ვებ სპეციალისტი) (IV დონე) — ხელმძღვანელი ასისტენტი პროფესორი გრიგოლ კახიანი



ნოლოჯი challenge (530244-TEMPUS-1-2012-1-SE-TEMPUS-JPCR);

- INTEGRATED UNIVERSITY MANAGEMENT SYSTEM: EU EXPERIENCE ON NIS COUNTRIES' GROUND. (530181-TEMPUS-1-2012-1-DE-TEMPUS-SMGR);
- Building capacity for university-enterprise partnerships towards competency based training in Armenia, Georgia and

# „ხლინიური ანატომიის“ გამო




ბით მრავალი წელი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ანატომიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე; აქ ჩამოყალიბდა როგორც მეცნიერ-მკვლევარი და პედაგოგი. აქვე დაიწვა დისერტაცია და მოიპოვა პირველი ალიარება, როგორც გამოცდილი მეცნიერი (მისი ავტორობით შექმნილი ხელსაწყო, თანამედროვე ლაზერული თუ ელექტროტერმული სკალპერების გამოჩენამდე, დიდ დახმარებას უწევდა ქირურგებს ლვილზე ოპერაციების „უხისხლოდ ჩატარების“ საქმეში).

მოკლე სალექციო კურსი სტომატოლოგიისათვის, „მუცლის ღრუს ორგანოების სასწრაფო-გადაღებულ ქირურგია“, „თავისა და კისრის მიდამოების კლინიკური ანატომია“; ცნობარი - „მუცლის ღრუს მწვავე ქირურგიულ დაავადებათა სიმპტომებისა და სინდრომები“. ჩამოთვლილთა შორის „კლინიკური ანატომია“ გამოირჩევა სიღრმითა და მასშტაბით.

სახელმძღვანელოში ადამიანის სხეულის აგებულება განხილულია ექვნივითა ოპერაციული ქირურგიისათვის საფუძვლების შექმნას) ინყება ამ სტრუქტურათა განხილვა მათი დაზიანებასა თუ პათოლოგიაში მონანილეობის (ან პოტენციური მონანილეობის) თვალსაზრისით, აგრეთვე ამ ანატომიურ-ტოპოგრაფიული თავისებურებებით განპირობებულ სიმპტომთა და იმ მეთოდების ჩვენება, რითაც ეს სიმპტომები უნდა იქნას გამოვლენილი.

სასამოწონო აღნიშნოს, რომ „კლინიკური ანატომია“, რიგ შემთხვევებში, წარმატებით ითვალისწინებს ანალოგიური უცხოური გამოცემების გამოცდილებასაც (კ. მურის და ა. დლის „კლინიკურად ორიენტირებული ანატომია“ და ს. სნელის „კლინიკური ანატომია“), რომელშიც მოცემულია კლინიკური შემთხვევების „ანატომიური გარჩევების“ შესანიშნავი მაგალითები. ასეთი გამოცდილების გაზიარება ქართულ სახელმძღვანელოს ნასაკითხად უფრო საინტერესოს ხდის და მას უაღრესად საჭირო ნიგნად აქცევს არა მარტო სტუდენტებისათვის, არამედ კლინიციისტიებისათვის.



**კლინიკური ანატომია**  
ნ. ჩიკობავა. გ. ცეცხლაძე. ნ. ზოსიძე

მინდა მივულოცო ავტორთა კოლექტივს და, უპირველეს ყოვლისა, ბატონ ზურაბ ჩიკობავას, შესანიშნავი სახელმძღვანელოს შექმნა, ხოლო მედროის სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებსა და პრაქტიკოს მედიკოსებს კიდევ ერთი შესანიშნავი შენაძენი.

პროფესორი დიმიტრი ძორაძი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

კიდევ ერთი კარგი საჩუქარი შესთავაზა სტუდენტებს პროფესორმა ზურაბ ჩიკობავამ - „კლინიკური ანატომიის“ სახელმძღვანელო (თანაავტორები: გ. ცეცხლაძე, ნ. ზოსიძე).

ამ ტიპის სახელმძღვანელოს შექმნას ერთდროულად სჭირდება დიდი ცოდნა და შრომისმოყვარეობა, რასაც ზურაბს უნდა უმაგრებდეს სათანადო პედაგოგიური გამოცდილება. საყოველთაოდაა აღიარებული: „კაც სახელმძღვანელოს ის ქმნის, ვისაც გამოუცდია სწავლების სირთულეცა და ბედნიერებაც“; - ბატონი ზურაბი კი, სწორედ, ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის.

მაგრამ ასეთი სქელტანიანი სახელმძღვანელო რომ შექმნა (მით უფრო, ისეთ პირობებში, როდესაც ადექვალენტური პირობების მიღება ვერც ივარაუდება), უნდა გახალისებდეს მომავალი თაობებისათვის შენი შრომის მნიშვნელობის შეგრძნება და, ამასთანავე, სწორად აფასებდე შენს შესაძლებლებს.

ბატონი ზურაბის შემთხვევაში ეს მოცემულობაც სახეზეა. ის კლინიკური ანატომიის (ტოპოგრაფიული ანატომიის) დარგის უდიდესი წარმომადგენლის, პროფესორ შალვა თოიძის მოსწავლეა. ბატონი შალვას ხელმძღვანელო-

2012-2013. 2012 წლის სახელმწიფო გრანტების კონკურსი „ეკლექციური მოსწავლეთა მონანილეობით“. პროექტი „ელექტრომაგნიტური ტალღების მონიტორინგი და შეფასება“ (SC/22/6-110/12) — მეცნიერ-ხელმძღვანელი ნუგზარ ლომიძე.

2013-2014 წლების დოქტორანტიურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი, „მოდულირებული სიგნალები დისპერსიულ გარემოში“ (DO/4/6-110/13), დოქტორანტი მირანდა ხაჯიშვილი.

აკადემიური პირები და დოქტორანტი მონანილეობენ სამეცნიერო ფორუმებში ინდივიდუალური სამეცნიერო საგრანტო პროექტების მფლობელები, კერძოდ: ნუგზარ ლომიძე (2013—ტრ—289, სუდაკი, ყირიმი), (GNSF/TR07/30, ეკატერინბურგი, რუსეთის ფედერაცია, GNSF/TR08 /10, მადრიდი, ესპანეთი; GNSF/TR09 /10, კარლსრუე, გერმანია; 03/140. 2013, სტამბული, თურქეთი), მირანდა ხაჯიშვილი (2013-ტრ-340, ისრაელი), კახა მახარაძე (03/170, სინგაპური).

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი ოთხჯერ მასპინძლობდა პროგრამირებაში უმაღლეს სასწავლებელთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის ნებე-ვარფინალს. პარალელურად სანქტ-პეტერბურგში, ბათუმში, ბარნაულსა და ტაშკენტში ტარდებოდა პროგრამირებაში უმაღლეს სასწავლებლებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის (ACM International Collegiate Programming Contest — ACM ICPC) ნებე-ვარფინალი ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონისთვის (North-Eastern European Regional Contest - NEERC). 2008 წელს სწორედ ბათუმში თსუ-ს პირველმა გუნდმა პირველად ქართველი სტუდენტების ACM ICPC-ში მონანილეობის 10 წლიან ისტორიაში მოიპოვა ფინალის საგზური.

სულ ახლახანს კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის სამმა დოქტორანტმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაციები:

რიმა თხილაიშვილი. სადისერტაციო თემა: „კომპიუტერული სისტემების ოპტიმიზაცია ინფორმაციის შეკუმშვა-გაფართოების დროს“

ვახტანგ ბერიძე. სადისერტაციო თემა: „არალოკალური სასაზღვრო პირობების მქონე დიფერენციალური განტოლებისათვის ოპტიმალური მართვის ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი რიცხვითი ალგორითმი“

გრიგოლ კახიანი. სადისერტაციო თემა: „პროგრამირების ადაპტური ალგორითმების შექმნა ხელოვნური ნივთიერი ქსელების გამოყენებით“

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი უდავოდ ადასტურებს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მაღალ აკადემიურ დონეს, კვალიფიკაციას. ფაკულტეტი ახალი შექმნილია, შესაბამისად მოცემული ეტაპისათვის სტუდენტთა საერთო რაოდენობა 285—ს არ აღემატება. სტუდენტთა საერთო რაოდენობის 25-30% სხვადასხვა საგრანტო (სოციალური, რაიონული, სახელმწიფო) დაფინანსების მფლობელები. დაფინანსების მქონე სტუდენტების უმრავლესობას შეადგენს პირველკურსელები, რომლებსაც სახელმწიფო დაფინანსება გააჩნიათ. ფაკულტეტი აერთიანებს სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულად აღიარებულ მიმართულებებს, ამიტომ პერსპექტივაში მომდევნო სასწავლო წელს სახელმწიფო დაფინანსების მქონე სტუდენტთა რაოდენობის გაორმაგება არის მოსალოდნელი. ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ნებისმიერი საფეხურის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს მონანილეობა გაცვლით პროგრამებში, მოიპოვოს დაფინანსება საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონანილეობისათვის, ჩართული იყოს სასწავლო და სამეცნიერო საგრანტო პროექტებში. აღსანიშნავია, რომ ამ სახით ფაკულტეტი საქართველოს რეალობაში პირველად შექმნა. ფაკულტეტის მიზნები, სტრატეგიული გეგმა და დასახული შედეგები უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს უნივერსიტეტის მისიის ნაწილს და განსაზღვრავს დღევანდელ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესს და იმ ტექნოლოგიურ რეალობას, რომელშიც ცოცხელად დგამდა ურთიერთობა. ფაქტია, რომ ფაკულტეტი აერთიანებს მეცნიერების ყველაზე ფუნდამენტურ დარგებს: ფიზიკას, მათემატიკას, კომპიუტერულ მეცნიერებებს. ისიც ფაქტია, რომ სწორედ ამ დარგთა გონივრული სინთეზი უზრუნველყოფს გამოყენებითი მეცნიერებების განვითარებას, რომელთა გარეშე შეუძლებელია ვისაუბროთ ზოგადად სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესზე.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა უზრუნველყოს სათანადო საუნივერსიტეტო გარემო. საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების, სასწავლო პროცესისა და შრომის ბაზრის ანალიზი და კოორდინირება წარმოადგენს ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების უმნიშვნელოვანეს საფუძველს. ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტს აქვს ამბიციური მოამზადოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებზე ორიენტირებული, მაღალ-კვალიფიკაციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტები.

**პროფ. ნუგზარ ლომიძე, ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი**

## ფიზიკა-მათემატიკისა და ხომჯიბურულ მაცნობარებათა დეანაბი მადლოზა უხდის პროფ. იაშა დიასამიძეს



მე-20 საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, აკადემიკოსმა გიორგი ჭოლოშილიამ, ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის საჩუქრად გადმოსცა საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც 800-მდე ნიგნისაგან შედგებოდა.

მათემატიკის კათედრას ამ დროისათვის ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი დურსუნ ბალაძე. შეიქმნა ლიტერატურის განთავსების პრობლემა. მათემატიკის პროფესორი იაშა დიასამიძე იხსენებს, თითოეულ პიროვნებას, რომლებმაც წვლილი შეიტანეს მათემატიკის კათედრასთან ბიბლიოთეკის შექმნაში. თუ როგორ აჩუქა მათემატიკის კათედრის ლაბორანტის ია ლომსიანიძის მეუღლემ რობერტ გელესიანიამ კათედრას ნიგნების ორი კარადა და ა.შ.

ბიბლიოთეკის განთავსება 201-ე აუდიტორიაში მოხერხდა. 1993 წლიდან 2014 წლამდე ბიბლიოთეკაში განთავსებული ნიგნების მოვლა-პატრონობას, გამრავლება-გამრავალფეროვნებას უანგაროდ ახორციელებდა პროფ. იაშა დიასამიძე. ის იხსენებს, საკუთარი ფიზიკური შრომის ფასად თუ როგორ მოახერხა ბიბლიოთეკის თაროების მოწყობა, აგრეთვე შემდეგში ნიგნების შეესება ლიტერატურით.

„1994 წელს მათემატიკის კათედრის ბიბლიოთეკაზე ასლან ხახუტაიშვილის ოჯახის მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული იქნა ამ უკანასკნე-

მათემატიკის კათედრის წევრის, დოცენტის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატ სელიმ ნიფარაძის ბიბლიოთეკა, რომელიც 1000-ზე მეტ ნიგნს შეიცავდა.

კათედრის ბიბლიოთეკას ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა გურამ ბერიშვილმა უსასყიდლოდ გადმოსცა საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც 300-მდე ნიგნისგან შედგებოდა.

მათემატიკის კათედრის წევრმა, უფროსმა მასწავლებელმა ვლადიმერ ხალვაშმა, უსასყიდლოდ გადასცა საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგებოდა 500 მეტი ნიგნისაგან.

მათემატიკის დეპარტამენტის წევრმა, პროფესორმა, ფიზიკა-მათემატიკის-მეცნიერებათა დოქტორმა, იაშა დიასამიძემ უსასყიდლოდ გადასცა საკუთარი ბიბლიოთეკის ნაწილი, 150-მდე ნიგნის ოდენობით.“

ბატონი იაშა აღნიშნავს, ბიბლიოთეკის შექმნა-შენარჩუნებაში სხვადასხვა დროს უნივერსიტეტის რექტორების აზიზ ახვლედიანის, სურვიერძის აზიზ ახვლედიანის, ნურგერძის, პრორექტორის სამუერთნო დარგში მუარდ ხინთიბიძის წვლილს და გამოხატავს მადლიერებას უნივერსიტეტის ამჟამინდელი რექტორის ალიოშა ბაკურიძისადმი კეთილი თანადგომის გამო.

ბიბლიოთეკისათვის ზრუნვას პროფ. იაშა დიასამიძე 22 წლის განმავლობაში ახორციელებდა. ბიბლიოთეკის ნიგნსაცავში მას მოწყობილი ჰქონდა პატარა სამუშაო ადგილი, რომელიც მნიშვნელოვანი შრომების შექმნის ადგილად იქცა. მომზადდა სახელმძღვანელო ნახევარჯგუფ-

თა თეორიაში, ჩვენი უნივერსიტეტის, ამჟამად უკვე აკადემიური პირების შოთა მახარაძის, ზებურ ავალიანის, გულადი ფარტენაძის, ომარ გვირაძისა და ნინო როყავას საკანდიდატო დისერტაციები, აგრეთვე 15-მდე სამაგისტრო შრომა. აქვე დაინერა მონოგრაფია ბინარულ მიმართებათა სრულ ნახევარჯგუფებში, რომელიც გამოქვეყნდა რუსულ და ინგლისურ ენებზე მოსკოვში (ასოც. პროფ. შოთა მახარაძის სპონსორობით) და თურქეთის რესპუბლიკაში (თურქეთის რესპუბლიკის დაფინანსებით). დაინერა სახელმძღვანელოები ალგებრასა და რიცხვთა თეორიაში.

2014 წელს პროფ. იაშა დიასამიძის ინიციატივით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან 20 (ოცი) წლის ვადით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადაეცა 3641 დასახელების ნიგნი. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების დანართს, რომელშიც მითითებულია ლიტერატურის სია, 137 (ასოცდაჩვიდმეტი) გვერდი უკავია.

ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატი მადლობას უხდის პროფ. იაშა დიასამიძეს ხანგრძლივი, შრომატევადი, კეთილი საქმისათვის და იმედოვნებს, რომ პროფესორის ზრუნვა და გამოცდილება არ მოაკლდება ფაკულტეტს კიდევ მრავალი წლის მანძილზე.

**ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატი.**



# გაბნეული ბარათი და გაუჩინარებული მეგობარი

ჩემი სამუშაო ოთახი თითქმის ყოველთვის მოუნწვრივებულია, წიგნები, საბუთები, საარქივო ამონაწერები, გაზეთები და ქსეროასლები ერთმანეთში არეულია. თანამშრომლები ოთახს მიაღებენ-მოაღებენ, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩინებენ... სულ 2-3 დღე მჭირდება, რომ ისევ ავურ-დავურიო. საბედნიეროდ ასეთ ვითარებაშიც მახსოვს სად რა დევს...

ამასწინათ ერთ-ერთი მორიგი დაღუპვის დროს პატარა ბლოკნოტის ფურცელი გადმომცეს — კარადის უკან ვნახეთო. ჩემი ძველი მეგობარი მწერდა: „ჩემო რამაზ! გუშინ დამავიწყდა თქვენთვის მეთქვა-მეთხოვა, იქნებ გააკეთებ ერთ თქვენებურ კაცურ საქმეს. კარგი იქნება, თუ თქვენს შეფასებას, გამოხმაურებას გაცნობთ მკითხველს ჩემი წიგნის შესახებ პრესის საშუალებით... წინასწარ გიხდით მადლობას, თქვენი ავთო. 23 თებერვალი, 2007წ.“

გვარი არ ვწერა, მაგრამ ბევრი ფიქრი არ დამჭირებია. ეს ხომ ავთო წულაძეა. ბათუმელთა გულუხვი ჭანჭათელი მასპინძელი. მის თბილ ოჯახში ბევრი ტკბილად გატარებული დღე და საათები გამახსენდა. წიგნზე ჩემი მოსაზრების გამოქვეყნებას მთხოვდა მეგობარი, ამასობაში შვიდი წელი გასულა, მე კი მას უბრალო თხოვნაც ვერ შევუსრულე. ალბათ ამიტომაც აღარ მეკარგა: ძალიან უმაღური უნდა ვიყო, რომ ავთო წულაძეს ვანყენინო. თუ არა და ახლა მაინც შევეცდები მის თხოვნას დავუბრუნდე, მადლობა ღმერთს, მისი ნაჩუქარი წიგნი ადვილად აღმოვაჩინე.

\*\*\*

ავთანდილ წულაძეს, ბათუმელთათვის კარგად ნაცნობ სამეურნეო დარგის ხელმძღვანელს, ქველმოქმედსა და მამულიშვილს ბევრი დახასიათება არ სჭირდება. მას რამდენიმე წიგნით მკითხველი საზოგადოებაც კარგად იცნობს, მათ შორის გამოვარჩევი „ჭანჭათის სადღეგრძელოს“, რომელმაც იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიწვია, მას საზღვარგარეთაც კითხულობდნენ. ამ წიგნმა მისი ავტორი საზოგადოებას ახალი შემოქმედებითი ნიჭით დაანახა.

მისი მეორე წიგნი „დაბადებიდან დღემდე“, რომელიც 2006 წელს ბათუმში გამოვიდა, შეიძლება ითქვას, „ჭანჭათის სადღეგრძელოს“ ერთგვარი გაგრძელებაა, იგი თვით ავტორის 75 წლის ცხოვრებას ასახავს, მაგრამ როგორ შეიძლება ადამიანის, მით უმეტეს საზოგადოების აქტიური წევრის ცხოვრება წარმართოს განყენებულად, თავისი გარემოცვის, მშობლიური ადგილების ასახვის გარეშე. ამიტომ მიმაჩნია, რომ ავთო წულაძის ავტობიოგრაფიული ნაშრომი ჩვენი ქვეყნის ერთი პატარა ისტორიაა.

მოკრძალებული ავტორის სიტყვებზე, „მემუარების წერას თავისებური ტალანტი, გამოცდილება, თემატიკის შერჩევა, ლიტერატურული გემოვნება და, რაც მთავარია, მოთმინება-გამძლეობა და ნებისყოფა სჭირდება“, მე ვიტყვი: ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ყველა დარწმუნდება, რომ ავთანდილ წულაძეს ყველა ეს თვისება გააჩნია და ნაშრომიც ძალზე საინტერესოდ იკითხება.

წიგნი იწყება ავტორის ბიოგრაფიით. ერთი შეხედვით დასაწყისში თითქოს არაჩვეულებრივი არაფერია: დაიბადა სოფელ ჭანჭათში, დაამთავრა სკოლა, აბარებდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, გაიწვიეს არმიას, მოიხადა სამხატვრო უკრანასა და პოლონეთში, დემობილიზაციის შემდეგ კი დაბრუნდა ბათუმში და ავეჯის ფაბრიკაში შეუდგა საქმიანობას. მომდევნო ფურცელზე კი ყურადღებას იქცევს: ავთოს უდიდესი მიზანსწრაფვა. მან მუშაობის დროს პარალელურად დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, თუმცა მისმა

საქმიანობამ ახალი კვალიფიკაცია მოიხოვა და წარბი არც ახლა არ შეუხრია, 1972 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე და ახალ სპეციალობას დაეუფლა.

ბათუმის საავიჯო ფაბრიკა ავთანდილ წულაძისთვის მეორე ოჯახად იქცა. აქ მას მუშაობა მოუხდა როგორც ძველი ნყობილების, ასევე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც, მაგრამ მის ცხოვრებაში თითქმის არაფერი შეცვლილა: კაცთმოყვარეობა, სინდისი, პატიოსნება, ენთუზიაზმი, სიახლისათვის ბრძოლა ყოველთვის იყო და არის მისი ცხოვრების თანმდევი. ბუნებრივია, ასეთი ადამიანი საზოგადოების თვალში ადვილად იკავავს გზას, ფაბრიკის კოლექტივმა მშობლიური საწარმოს საპატიო წევრად აირჩია, ხოლო ხელისუფლებამ მას მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო ნიშნად მიანიჭა.

ერთ საწარმოში 37 წლის განუწყვეტილი საქმიანობის შემდეგ ავთო წულაძე

ავტორი დიდი გულისწუხილითა და სინანულით იხსენებს ერთგულ მეუღლეს ციალა კვასხვაძეს, რომელიც ათიოდე წლის წინ გარდაიცვალა. ახლა ავთო შვილებისა და შვილიშვილების წინსვლითა და წარმატებებით ხარობს, თუმცა მის ჩანაწერებს თუ ღრმად ჩაუფიქრებლად იგი იმაზეც ნათობს, რომ მესამე სპეციალობა ვერ მიიღო. ეს კი მიგვანიშნებს, ახლაც რომ შეიძლება იგი კვლავ მიუჯდება სასწავლო მერხს და კვლავ იოცნებებს მომავალ ცხოვრებაზე.

ეს დიდი ოპტიმიზმი, ჩემო ავთო, ადამიანები, რომლებიც ხელს არასოდეს ჩაიქნევენ, სულ რაღაცის ძიებაში არიან, დიდხანს ცოცხლობენ. მე შენც ასეთი დიდი სიცოცხლე მინდა გისურვო.

თუ ვინმეს სურს თავისი ცხოვრება, კერძოდ ბავშვობა მემუარულ ჟანრში აღწეროს, ვურჩევ ნაიკითხოს ავთანდილ წულაძის „ბავშვობა სკოლის ასაკში“, რომელიც ძალზე საინტერესო მაგალითად გამოდგება. აქ შეხვდებით როგორც ბავშვურ გულუბრყვილობას, ასევე სისპეტა-

იკითხავთ თავს „სამსახური — ერთადერთი და განუმეორებელი“. სანიმუშოდ დასურათებულ ფურცლებზე ავტორი დიდი მადლიერებით იგონებს თავის ხელმძღვანელებს, მათ მიერ განწესებულ ამაგს, როგორც თვით ავთანდილ წულაძეზე, ასევე აჭარისა და ბათუმის მოსახლეობაზე. ამავე თავში მკითხველი გაეცნობა ახლადდაოჯახებული ავთოს ოჯახურ სიძნელებებს, იმასაც, მეუღლეები როგორ ეგუებოდნენ გასაჭირს ყოველგვარი წუნუნისა და საყვედურის გარეშე. ეს კი ტკბილი და თბილი ოჯახის არსებობის საფუძველთა საფუძველია.

ჰუმანისტმა კაცმა სოფლის გამრავლების ნახალისების საოცარი ხერხი მოიფიქრა. მოვნათლავ და დაფიქრებულნი იმ ოჯახს, სადაც წელს (1986 წ.) პირველი შვილი გაჩნდება, თქვა და, მართლაც 19 იანვარს სოფელში, ხულოდან გადმოსახლებული შაინძეების მუსლიმანური აღმსარებლობის მქონე ოჯახში გაჩნდა ბიჭი. მეზობლები ფიქრობდნენ, ავთანდილი თავის სიტყვას უკან წაიღებო, მაგრამ მოტყუვდნენ. იგი აკვნით და სათანამო რევოლუციური ენჯია ოჯახს, ბიჭს ნუგზარი შეარქვა და დღემდე გრძელდება მათი ღვთის მადლით მოსილი მოყვრობა.

იტყვიან, რა პატარაა სამყარო, ყველგან და ყოველთვის რაღაც და ვიღაც ნაცნობს უნდა ელოდო. ჩემთვის ეს წიგნიც ამის დასტურია. ფოტოებიდან შემომცქერიან ჩემი ძველისძველი მეგობრები: ძმები ვახტანგ და ზურაბ წულაძეები, დიდებული მეოჯახე ზურაბი, აჭარლების სიძე, რომელსაც ან განსვენებულ პოეტთან ჯემალ ქათამაძესთან ერთად ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ვეწვეოდით ხოლმე, თანაც უცხო სტუმრებთან ერთად. ამ ფიცი და ზოგჯერ ზედმეტად პირდაპირი გურულისაგან ერთჯერაც არ მახსოვს საყვედური ასეთი მოულოდნელობის გამო. ნერვების მოსაშლელად ჯემალი ზურაბს

ეტყვოდა: — შენ რა განუხებს, სტუმრების მიღება ჩემი დის, გულიკო კიკნაძის საქმეა და ის მიხედავსო.

— ნანადირევი ხომ ჩემიაო, — არ ნებდებოდა ზურაბი.

ახლა აღარც ზურაბი და აღარც მისი ცოლისძმა ჯემალი აღარ არიან, მაგრამ გულიკოს სტუმარ-მასპინძლობის ინერცია არ დაუკარგავს, რაღაც საბაზს მოიგონებს და მთელს ძველ ჩვენს სამძაკაცოს და სადაქალოს შეგვკრებს. რა სევდიანი, ამავე დროს გასახსენებელი და ამით სასიამოვნოდ დღეებია ამ დროს წულაძეთა ოჯახში.

წიგნის 117-ე გვერდზე ჩემი უძველესი მეგობრის, ავთოს დის ქეთევანის მეუღლის ტელმაკ ჭარმაკაძის ოჯახთან ერთად გადაღებულ სურათსაც ნავაწყადი. 90-ს მიახლოებული ტელმაკი დღესაც ცდილობს შეგვკრიბოს ძველი შუახველები, რომლებმაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარეს ახალ რაიონს. დავით ანთაძე, სერგო კაკაურიძე, მიხეილ ბეჟანიძე, რამაზ სურმანიძე შევრჩით ხელში. ახლა სერგოც აღარ გვყავს, მაგრამ სტუმართმოყვარე კაცს რა გააჩერებს. ხშირად გამოდის მისი სატელეფონო ზარი, გვეპატიუება გრილუბნის (გოროდოკი) შემადლებულ თვალწარმტაც ბორცვზე სამასლაათოდ და ძველი ამბების გასახსენებლად.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ქართველი კაცის ღირსების ნახე-



1996 წელი, სოფელი ჭანჭათი, სტუმრები ბათუმიდან.

დამსახურებულ პენსიაზე გავიდა, მაგრამ სწორედ აქედან დაიწყო მისი კიდევ უფრო ინსტენსიური საზოგადოებრივი საქმიანობა.

სპორტსმენებს აქვთ გამოთქმა: „მეორე ამოსუნთქვა“, რაც ფიზიკური ძალების ახალ მობილიზაციას და ახალ წარმატებებს ნიშნავს. ავთანდილმა ფიზიკურთან ინტელექტუალური ძალებიც გააერთიანა და მოუსვენარი კაცი შეუდგა მართლაც ახალ ცხოვრებას.

ნახეთ ავთანდილ წულაძის ოჯახი და ეზო კარ-მიდამო სოფელ ჭანჭათში და გაცნობით, თურმე რა შექმნილია ადამიანის ხელსა და გენიას. რა არ მოუშენებია საკუთარ მინა-წყალზე, დანყებული სუბტროპიკული კულტურებიდან ჩვენს ტრადიციულ ხეხილამდე. დეკორატიული მცენარეულობიდან ტყის კულტურებამდე. აქ თავს ნამდვილ ნალკოტში გრძნობ და სურვილი გეუფლება რაც შეიძლება დიდხანს დარჩე.

სოფლის ნამდვილმა ხევისბერმა ავთანდილ წულაძემ მშობლიურ სოფელში დააფუძნა „სოფლის დამხმარე საზოგადოება“, რომელმაც ჭანჭათის მოსახლეობას მრავალი სიკეთე მოგვარა. თუმცა „სოფელი“ კაცი არასოდეს ჩამოშორებია ინტელექტუალურ საქმეს და, საოცრად საინტერესო პუბლიცისტურ-მემუარული ხასიათის წიგნების გარდა, აქტიურად თანამშრომლობს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

კეს, ქართულ ტრადიციულ ოჯახში აღზრდის სიკეთეს, უფროს-უმცროსობის ფასსა და მარვალშვილიანობის დიდ როლს ჭეშმარიტი მამულიშვილის ჩამოყალიბებაში. ამის შემდეგ აღარავის გაუკვირდება, ავტორს ბავშვობიდანვე რატომ მოყვება პრინციპულობა, სამართლიანობა, სიტყვისკაცობა.

სკოლაში, ჯარში, გენბავთ საპატიმროში შექმნილ მეგობრებზე რაღაც განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავენ ხოლმე და ავთოს ჩანაწერებში ესეც ძალუმად იგრძნობა. საპატიმრო მას და მის მოდგმას ღმერთმა აშოროს, მაგრამ ესეც რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ ჩვენი ავტორი ისევე გულმოდგინებითა და თბილი მოგონებებით შეამკობდა ყველას, როგორც სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში და არმიამი შექმნილ მეგობრებს.

ყველაფერზე ვერ ვიტყვი, მაგრამ როცა წიგნში ვნახე „პეტრე კონჯარიას საფლავი პოლონეთში“, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, სრულიად ახალგაზრდა ავთანდილი როგორ დიდ ინტერესს იჩენდა უცხოეთში გადაკარგული თანამემამულის მიმართ და ოთხი ათეული წლის წინ გარდაცვლილი ქართველი მეომრის საფლავს პატივს მიაგებდა როგორც თავისიანს, ახლობელსა და ნათესავს. ამას მხოლოდ ჭეშმარიტი პატრიოტები აკეთებენ.

ზემოთ საავიჯო ფაბრიკას ავთოს მეორე ოჯახი ვუნოდე. ეს ნამდვილად რომ ასე იყო, დარწმუნდებით როცა წიგნში ნა-



# პროექტის „ბათუმის ბოტანიური ბაღის სტიპენდიანტი“ წარდგინება

ვარზე მეტი სტუმართმოყვარეობაზე მოდის, როგორც დიდი მიღწევები არ უნდა ჰქონდეს სამსახურში, ოჯახშიც, თუ ის ვერ იცავს სტუმარ-მასპინძლობის უძველეს ტრადიციას, მისი ფასი ნულამდე ეცემა, ამიტომ ეს თვისება ჩვენში ადამიანის შეფასების ერთგვარ საზომად იქცა.

ეს მცირე შესავალი დამჭირდა მხოლოდ იმისათვის, რომ მკითხველს ვუთხარა: ავთანდილ ნულაძე ძველი ქართული ნუს-ჩვეულებების ერთგულ ოჯახში გაიზარდა და განგებამ მასაც უხვად უბოძა დიდი კაცთმოყვარეობა, რომლის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს სტუმარ-მასპინძლობა წარმოადგენს.

ავთანდილი თავად ეძებს სტუმრის მოწვევის საბაბს და ამაში პირადად დავერწმუნდი. 1996 წლის 30 ივლისს გაზეთმა „აჭარამ“ დაბეჭდა მისი წერილი, „ჩვენ ძმებთან ვცხოვრობთ“, რომელშიც საუბარი იყო ჭანჭათში ჩასახლებული აჭარელების და ადგილობრივი მცხოვრებლების შეხმატკბილებულ ცხოვრებაზე. ამ წერილმა ბევრს გაუჩინა ჭანჭათში ჩასვლის სურვილი, მაგრამ ამის ბედნიერება მხოლოდ დრამატრუგ შოშია ჩხაიძეს, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს შალვა გოგიტიძეს, მის მოადგილეს თემურ ართმელაძეს, ჟურნალისტებს სერგო კაკაურიძეს და ნუგზარ ჯაფარიძეს, ფოტოხელოვანს შალვა ართმელაძეს, ტელეჟურნალისტს, ტელეოპერატორს, მძოლვს ფრიდონ ზოიძეს და ამ წერილის ავტორს მოგვეცა. ეს შეხვედრა დაუვინყარია თავისი მინაარსითა და გულუხვი მასპინძლობით. ამიტომ დეტალურად არ შევხვებო. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენმა მასპინძელმა მთელი სოფელი შეკრიბა და ის დღე დიდ დღესასწაულად აქცია. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს გაზეთ „აჭარის“ 1996 წლის 15 ნოემბრის ნომერში სერგო კაკაურიძის წერილს, „მოზრდილი მეცხრე ქორილი“ და გაზეთ „აღორძინების“ 21 ნომბრის ნომერში ნუგზარ ჯაფარიძის წერილს, „ჭანჭათში სათქმელი სადღეგრძელო“.

ამ დაუვინყარი შეხვედრით მიღებულ შთაბეჭდილებაზე მეც გამოვთქვი ორიოდუ სიტყვა:

„ჩემთვის ძალზე შთამაგონებელი და, შეიძლება ითქვას, „აღმორჩენა“ იყო სოფელი ჭანჭათი, გურიის ერთ-ერთი უმშვენიერესი ადგილი ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის საზღვრის მახლობლად. მთავარი მაინც თავად ჭანჭათელეების, შრომისმოყვარე, ქვეყნის პატრიოტი, სიცოცხლით სავსე, მხიარული, მომლხენი ადამიანების გაცნობა იყო. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემი ძველი მეგობრისა და შესანიშნავი მეცენატის ავთანდილ ნულაძის ეზოში ვნახავდი ნამდვილ სუბტროპიკულ ნალკოტს, ციტრუსებით, ფეიხოათი, კონახურით, ბრონეულით, ზამბუკებით სავსე ბაღნარს, აქაური კაცის შრომის ნაყოფს, კაცისა, რომელიც არის ინტელიგენტი, მაგრამ სოფლად ყოფნისას მშრომელ გლეხად იქცა და დოვლათს ქმნის.

სოფელი ჭანჭათი მარტო ამით არ დამახსოვრდა. აქ ისევე როგორც ნამდვილ ძმას შეჰფერის, შეიფარეს სტიქიური უბედურების დროს უსახლკაროდ დარჩენილი ჩემი მეზობლები, აჭარლები, 28 ოჯახი, რომლებიც ახლა ნამდვილ მშობლიურ მიწაზე გრძნობენ თავს. მრავლდებიან, ქორწინდებიან და ახალი საქართველოს იმედით ცხოვრობენ. მათი მომავალი ბედნიერების საწინდარი სწორედ აქაურთა დიდი ყურადღება, გვერდით დგომა და ზრუნვა იყო.“

თავისი მშვენიერი წიგნებით, აუარებული საგაზეთო წერილებით, ფელეტონებითა და სტატიებით ავთანდილ ნულაძემ მრავალი სიხარული მოგვანიჭა და საშველიძელო კვალი გააგლო ჩვენი ცხოვრების მატრიანეში. კიდევ ბევრჯერ გაგეხარებინოს. ჩემო ავთანდილ, შენი გარემოცვის, ოჯახის, მეგობრების, თანასოფლელების, მთელი ქართველი ხალხის გული.

რაბაზ სურმანიძე  
26 მარტი, 2013 წ.



**ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ერმაკოვი და ბოტანიკური ბაღის დირექტორი თამაზ დარჩიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს ირაკლი ბარამიძეს, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდნენ. ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელმა ბსუ-ს ბიოლოგიის, მცენარეთა ბიომრავალფეროვნებისა და აგროეკოლოგიის სპეციალისტის სტუდენტებს პროექტი „ბათუმის ბოტანიკური ბაღის სტიპენდიანტი“ წარუდგინა. პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდების ბაღის განვითარებით დაინტერესებასა და დარგისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. კონკურსის წესით გამოვლენილი სამი საუკეთესო სტუდენტი ბოტანიკურ ბაღში ორთვიან სტაჟირებას გაივლის და 200-ლარიან სტიპენდიას მიიღებს. ღონისძიების მონაწილეებმა ბოტანიკური ბაღი დაათვალიერეს და ტურისტული სეზონისათვის მოსამზადებელ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნენ. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა დამატებითი ინფორმაცია იხილეთ**

## მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები: სტიპენდიის მსურველი სტუდენტები შეირჩევიან კონკურსის წესით შემდეგი კრიტერიუმებით:

1. უკანასკნელი სემესტრის შედეგების გათვალისწინებით მაღალი აკადემიური მოსწრება - 81 ქულიდან ზემოთ;
2. უკანასკნელი სემესტრის შედეგების გათვალისწინებით ძირითად დისციპლინებში - 91 ქულიდან ზემოთ;
3. სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს სასწავლო-საველე პრაქტიკა ბოტანიკასა და აგროეკოლოგიის მიმართულებით;
4. სტუდენტს მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სესიებში;
5. დადებითი რეკომენდაცია;

კონკურსანტები შეირჩევიან ბათუმის ბოტანიკურ ბაღის მიერ დაკომპლექტებული საკონკურსო კომისიის მიერ და დადგენილი წესის შესაბამისად.

**კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

1. განაცხადი კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. ცნობა სწავლის ადგილიდან, რომ კონკურსანტი არის შესაბამისი სპეციალისტის სტუდენტი;

4. ცნობა სასწავლებლიდან აკადემიური მოსწრების შესახებ;
5. ავტობიოგრაფია (წვ) (ფოტოსურათით);
6. სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;
6. კონკურსანტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციის ასლები;
7. არანაკლებ ერთ რეკომენდაციას უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისი ფაკულტეტიდან და იმ აკადემიური პირისგან, რომელიც კარგად იცნობს პრეტენდენტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას;
8. დამატებით შესაძლებელია იმ სახის დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომელიც ასახავს კონკურსანტის ფართო საქმიანობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

### ვადები:

- 19 მაისიდან 7 ივნისამდე - პროექტის წარდგენა და ინფორმაციის გავრცელება;
- 9 ივნისიდან 28 ივნისამდე - წინასწარი რეგისტრაცია (ელექტრონულად);
- 30 ივნისიდან 12 ივლისამდე - დოკუმენტაციის მიღება;
- 12 ივლისიდან 19 ივლისამდე - სტიპენდიანტთა შერჩევა;
- 19 ივლისიდან 30 ივლისამდე - გამარჯვებული სტუდენტების მიერ სამუშაო წლიური პროგრამის წარმოდგენა;
- 31 ივლისს შეხვედრა სტიპენდიანტებთან და წლიური სამუშაო პროგრამის პრეზენტაცია;
- სტიპენდია დაინიშნება 1 სექტემბრიდან და იგი გაცივმა ყოველი თვის 25 რიცხვის შემდეგ;
- 2015 წლის 23 ინავარი - შუალედური ანგარიშის წარდგენა;
- 2015 წლის 26 ივნისი - წლიური ანგარიშის წარდგენა;
- 2015 წლის 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდე - საზაფხულო სტაჟირება ბათუმის ბოტანიკურ ბაღში.

### სტიპენდიის დანიშნის შემდგომი მოთხოვნები:

- სტიპენდიანტმა უნდა უზრუნველყოს აკადემიური ცოდნისა და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის გაღრმავება;
- დაამუშაოს სამეცნიერო თემატიკა უნივერსიტეტისა და ბათუმის ბოტანიკური ბაღის აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით ბაღის საქმიანობის აქტუალურობის გათვალისწინებით;
- მოამზადოს არანაკლებ 1 სამეცნიერო სტატია ბათუმის ბოტანიკური ბაღის თემატიკისა და აქტუალურობის გათვალისწინებით, რომელიც უნდა დაიბეჭდოს სამეცნიერო შრომათა კრებულში;
- მოამზადოს არანაკლებ 1 მოხსენება ბაღის კოლექციისთან ან საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც წარდგენილი იქნება ადგილობრივი ან რესპუბლიკური მნიშვნელობის სამეცნიერო კონფერენციაზე;
- ბათუმის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ტურისტული ჯგუფების, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ჩაატაროს არანაკლებ 4 ექსკურსია;
- წარმოადგინოს საქმიანობის შუალედური და წლიური ანგარიში;
- სურვილისამებრ გაიაროს 2-თვიანი სტაჟირება ბაღის რომელიმე სტრუქტურაში.

## თამარ მეფის ხსენების დღე

წმიდა მეფე თამარის ხსენების დღე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონფერენციით - „თამარ მეფე წმინდანი“ აღინიშნა, რომელიც ბსუ-ს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებებისა და აჭარის ქალთა დარბაზის ინიციატივით ჩატარდა. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოზა ბაკურიძე, ხოლო შესავალი სიტყვა წარმოადგინა პროფესორმა ნანი გუგუნიძემ.



მოთქვა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის, აჭარის განყოფილების უფროსმა, აჭარის ქალთა დარბაზის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნანი გუგუნიძემ.

მკვლევრებმა, პოეტებმა, ხელოვანებმა მოხსენებები წარმოადგინეს თემებზე: თამარ მეფე საქართველოს ოქროს ხანის შემოქმედი, თამარ მეფის სახე ქართულ პოეზიაში, ფოლკლორში, პროზაში, „ვეფხისტყაოსანში“, პუბლიცისტიკაში, ხატურაში. კონფერენციის დასასრულს პოეტებმა წმინდანისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმიდა მეფე თამარის ხსენების დღეს 1917 წლიდან აღნიშნავს.

## VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალახები“

### „ჩვენი სულიერების ბალახები“

VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალახები“ გაიხსნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქართველი, რუსი, სომეხი, ბულგარელი მკვლევარები და სასულიერო პირები ორი დღის განმავლობაში 50-მდე სამეცნიერო მოხსენებებს წარმოადგენენ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიაზე, კულტურაზე, ხელოვნებაზე, სწავლებაზე და აღზრდაზე. კონფერენციის მონაწილეები ასევე განიხილვენ ისეთი საკითხებს, როგორცაა: ბათუმის ეპარქიის ისტორია, სიახლეები ქართული ეკლესიის ისტორიაში (გოდერძის უღელტეხილის - ბეშუმის ნაეკლესიარი), ადრეფეოდალური ხანის ცნობილი საეკლესიო ცენტრების ადგილმდებარეობის შესახებ (ფაზისის სამიტროპოლიტო, სებასტოპოლისის საერქიეპისკოპოსო), ქრისტეს სარწმუნოებისათვის ოსმალთაგან წამებული მართლმადიდებელი ლაზები, მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 20-იანი წლების აჭარაში. კონფერენცია ქრისტიანული კვლევის ცენტრისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების ორგანიზებით ტარდება.





# „ისტორიის ფურცლები“

## ზოგიერთი მოსაზრება ლენინის სიკვდილის სავარაუდო მიზეზების შესახებ

„მთის არწივი“ ლენინი ადრეც ავადმყოფობდა, ხანგრძლივად მკურნალობდა და ისვენებდა, მაგრამ სიცოცხლის ბოლო წლებში ამან სისტემატური ხასიათი მიიღო. 1922 წლის დეკემბერში გორკაში სამკურნალოდ მყოფი ლენინის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. ლენინმა ფაქტობრივად დაკარგა მეტყველებისა და მოძრაობის უნარი. იგი ხშირად და უმიზეზოდ ლიზიანდებოდა, ახლოს არ იკარებდა ექიმებს, ზოგჯერ არ უნდოდა კრუპსკაიას ნახვაც, უმიზეზოდ ტიროდა და იცინოდა კიდეც. დაუტყვევებელი მესხიერებაც, ვერ ასრულებდა ელემენტარულ მათემატიკურ ოპერაციებს, შეეცვალა გამომეტყველება, შეშლილივით დაეძებდა რაღაც საბუთებს, დოკუმენტებს მალავდა ლეიბის ქვეშ, სხვა სამალავებში. ყველა ნამალს გემოს უსინჯავდა. ბევრ წყალს სვამდა და ხშირად ოთახებში შარდავდა. რიგ შემთხვევაში ვერ აცნობიერებდა, რომ სამოქალაქო ომი დამთავრდა და ა.შ.

ავადმყოფი ლენინისათვის დაწესდა სპეციალური საექიმო რეჟიმი, რომლის დაცვაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა კომისიის სტალინის, ზინოვიევისა და კამენევის შემადგენლობით. 1922 წლის 18 დეკემბერს კი ცკ-ის პლენუმმა უშუალოდ სტალინს დააკისრა „პერსონალური პასუხისმგებლობა ლენინის იზოლაციაზე, როგორც მუშაკებთან მისი პირადი ურთიერთობის, ისე მიმონერის მხრივ“.

აი, ასეთ ადამიანს მალავდნენ თურმე საგულდაგულოდ. ლენინი ფაქტობრივად შემლილი იყო, რომლის სიმპტომებიც საკმაოდ ადრე გამოვლინდა. ამას ადასტურებს თუნდაც მისი ასეთი შემადრწუნებელი, არაადამიანური სანქციები თუ განკარგულებები: „ყოველგვარი იდიოტური აურზაურის გარეშე დახვრიტეთ უკლებლვ ყველა“. ეს სანქცია ეხებოდა სხვადასხვა ქალაქში ტყვეობაში მყოფ მილიონამდე(!) კაზაკს. „ნურავის დაეკითხებით - დახვრიტეთ, დახვრიტეთ, დახვრიტეთ“, „მასობრივი ტერორი, გადაასახლეთ, ჩაყარეთ საკონცენტრაციო ბანაკებში“, „წაართვით მთელი პურის მარაგი და ჩამოახრჩვეთ კულაკები“, „ამხ. ძერჟინსკის ... აუცილებელია რაც შეიძლება სწრაფად მოვუღოთ ბოლო მღვდლებსა და რელიგიას ... დახვრიტეთ შეუბრალებლად, დახვრიტეთ ყველგან და რაც შეიძლება მეტი...“.

ფიზიკურად და სულიერად ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფი ლენინი გარდაიცვალა გორკაში 1924 წლის 21 იანვარს. ადამიანის გარდაცვალება ჩვეულებრივი მოვლენაა, მით უფრო ასეთ მდგომარეობაში მყოფი, მძიმედ ავადმყოფი ადამიანის შემთხვევაში. თითქოს ჩვეულებრივადვე უნდა ყოფილიყო აღქმული ეს,

მაგრამ ლენინის სიკვდილის უშუალო მიზეზებთან დაკავშირებით იყო და არის აზრთა სხვადასხვაობა. ამას თავის დროზე დიდად შეუწყო ხელი ტროცკისა და ბუხარინის მინიშნებებმა. უკანასკნელ პერიოდში ეს საკითხი კვლავ აქტუალური გახდა პროფესორმა დ. ვოლკოგონოვმა თავის სქელტანიან ნიგნებში ლენინის, სტალინისა და ტროცკის შესახებ. ერთი ამბობდნენ და ამბობენ ლენინი სტალინმა მოწამლაო, მეორენი - თავი მოიკლაო, მესამენი - ბუნებრივი სიკვდილით აღესრულაო.

რა შეიძლება ითქვას სტალინთან დაკავშირებული ვერსიის შესახებ? ჯერ ერთი, თუ სარეცელს მიჯაჭვული, უმძიმეს, კრუპსკაიას სიტყვებით, რომ ვთქვათ „საზარელ“ მდგომარეობაში მყოფი ლენინის სიკვდილი სტალინის ინტერესებში შედიოდა, გაუგებარია მაშინ განსაკუთრებული ძალისხმევა, მისი დიდი მეცადინეობა მსოფლიოს საუკეთესო ექიმების მოსაწვევად. მისი უშუალო განკარგულებით ყველაფერი კეთდებოდა ავადმყოფისათვის. ლენინის მკურნალობაში და კონსულტაციებში, მრავალრიცხოვან კონსილიუმებში მონაწილეობდნენ გამოჩენილი საბჭოთა და უცხოელი სპეციალისტები (26 პროფესორი და დოქტორი), რომლებსაც უხდინდნენ ზღაპრული რაოდენობის ფულს, ძირითადად ოქროთი. იქნებ სტალინი ამით თავის შენიღბულ სურვილს მალავდა? თუ ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზრუნავ, მისი სიცოცხლისათვის ყველაფერს აკეთებ, როგორ უნდა შევთავაზოთ ეს მისი სიკვდილის სურვილთან? რატომ გაერთილებდა უაღრესად წინდახედული სტალინი ხელოვნურად საქმეს ასეთი სურვილის შემთხვევაში, როცა ყველაფერი ბუნებრივად აქეთკენ მიდიოდა?

ლენინის სიკვდილის მიზეზებთან დაკავშირებით გამოთქმული ვერსიების შესაფასებლად, ვფიქრობთ, ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნება გავეცნოთ პარტიულ არქივში დაცულ მრავლისმეტყველ საიდუმლო დოკუმენტს:

**„სრულიად საიდუმლოდ, პოლიტბიუროს წევრებს**  
შაბათს 11 მარტს ამხ. ნ. კრუპსკაიამ არხიკონსპირაციული წესით მაცნობა მე „ვლ.ილიჩის თხოვნა სტალინისადმი“ იმის შესახებ, რომ მე, სტალინმა, ავიღო საკუ-

თარ თავზე პასუხისმგებლობა, ვიშოვო და გადავცე ვლ. ილიას ძეს კალიუმციანიდის პორცია. ჩემთან საუბარში ნ.კ. თქვა, რომ „ვლ. ილიას ძე განიცდის აუტანელ ტანჯვას“, რომ „ასე სიცოცხლე წარმოუდგენელია“, და დაჟინებით მოითხოვდა „უარი არ მეთქვა ილიჩის თხოვნაზე“. ნ.კ. განსაკუთრებული დაჟინებისა და იმის გამო, რომ ვლ. ილიას ძე მოითხოვდა ჩემს თანხმობას, მე არ ჩავთვალე საჭიროდ მეთქვა უარი და განვაცხადე: „ვლ. ილიას ძეს ვთხოვ დამშვიდდეს და მენდოს, რომ როცა საჭირო იქნება, მე უყოყმანოდ შევასრულებ მის თხოვნას“.

მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ მე არ მეყოფა ძალები შევასრულო ვლ. ილიას ძის თხოვნა და იძულებული ვარ უარი ვთქვა ამ მისიაზე, როგორადაც არ უნდა იყოს იგი ჰუმანური და აუცილებელი, რის შესახებაც ვაუწყებ ცკ პ. ბიუროს წევრებს.

**21 მარტი, 1923 წ. ი. სტალინი“**

ამ წერილის გაცნობას თავიანთი ხელმოწერებით ადასტურებენ ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, მოლოტოვი, ტომსკი. ეს უკანასკნელი მოითხოვს საკითხის განხილვას პოლიტბიუროს განსაკუთრებულ სხდომაზე მდივან-მემანქანეებისა თუ სხვა ტექნიკური პერსონალის მონაწილეობის გარეშე. გავეცნოთ სტალინის ხელით შედგენილ კიდევ ერთ საგულისხმო საიდუმლო დოკუმენტს.

**„ზინოვიევის, კამენევის.**  
ეს ესაა გამოძიება ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა და საიდუმლოდ მაცნობა, რომ ილიჩი „საზარელ“ მდგომარეობაშია, მას აქვს შეტევები, არ უნდა, არ შეუძლია მეტი სიცოცხლე და მოითხოვს კალიუმციანიდს აუცილებლად“. მაცნობა რომ სცადა კალიუმის მიცემა, მაგრამ „არ ეყო გამძლეობა“, რის გამოც მოითხოვს „სტალინის დახმარებას“.

**სტალინი.“**  
როგორც ვხედავთ, პირველ დოკუმენტში კრუპსკაია დაჟინებით მოითხოვს სტალინისაგან უარი არ თქვას ილიჩის თხოვნაზე მისცეს სასიკვდილო სანამლავი. მივაქციოთ ყურადღება, კრუპსკაია სტალინს კი არ აცნობს ვითარებას, კი არ თხოვს, არამედ განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვს, რომ მან შეასრულოს ილიჩის ზემოაღიშნული თხოვნა. მეორე საიდუმლო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ

კრუპსკაიას პირადად თვითონ უცდია სანამლავის მიცემა, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, ბოლომდე „არ ეყო გამძლეობა“ თურმე და მოითხოვს „სტალინის დახმარებას“.

ამ დოკუმენტის გაცნობის შემდეგ თუკი ვინმეზე შეიძლება ლენინის სიკვდილზე (მონამვლაში) ეჭვის შეტანა, პირველ რიგში, ალბათ ისევე კრუპსკაიაზე. ვინ იცის, იქნებ ნ. კრუპსკაიამ მეორე ცდისას გამოიჩინა უფრო მეტი გამძლეობა და წარმატებით შეასრულა ეს „ჰუმანური“ მოქმედება? ასე რომ, ლენინის ტვინის შესაძლებელი ბიოქიმიური ექსპერტიზაც კი, რომელსაც სტალინისადმი აშკარა მინიშნებებითა და ქვეტექსტებით ელოდებოდა მავანნი, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ დადასტურებს მისი მონამვლის ფაქტს (თუ ამას მართლაც ჰქონდა ადგილი), მაგრამ სანამლავის მიცემაში პიროვნების ვინაობას ვერ დაადგენს.

რაც შეეხება სტალინთან დაკავშირებულ ვერსიას, ამ საიდუმლო მასალის გაცნობის შემდეგ კიდევ ერთხელ ნათელი ხდება, რომ ლენინის სიკვდილის სურვილის შემთხვევაში, სტალინი პოლიტიურად კი არ მიმართავდა აღნიშნული წერილით, იგი უბრალოდ შეასრულებდა კრუპსკაიას დაჟინებულ მოთხოვნას და ამით, სხვათაშორის, ლენინისათვის ადრე მიცემულ პირობასაც შეასრულებდა. მართა ულიანოვა ადასტურებს, რომ 1922 წლის მაისში ავადმყოფობით თავზარდაცემულმა ლენინმა სიტყვა ჩამოართვა სტალინს, რომ მორიგი პარალიზისა და მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში იგი სანამლავს მისცემდა მას. და აი, მძიმე მდგომარეობაში მყოფმა ლენინმა სტალინს პირობის შესრულება მოთხოვა, რაზედაც კრუპსკაიაც იყო თანახმა. შეიძლება ვიფიქროთ, ილიჩი ამონებდა სტალინს მომცემს თუ არა სასიკვდილო სანამლავესო. მაგრამ არა, ასეთი ექსპერიმენტებისათვის ლენინს მაშინ ნამდვილად არ ეცალა. იმდენად აუტანელი - კრუპსკაიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „საზარელი“ იყო მისი მდგომარეობა, ისე წვალობდა იგი, მოს სტალინის მეგობრობას, მოს სიმტკიცეს ენდობოდა და ამგვარად სურდა გაუსაძლის სიცოცხლეს გამოსალმებოდა. მაგრამ აშკარად ჩანს, რომ სტალინმა კრუპსკაიასგან განსხვავებით, თავი შეიკავა ასეთი „ჰუმანური“

ქმედებისაგან (ქმედების ყოველგვარი ცდისაგან).

ასე რომ, მოტანილი საიდუმლო დოკუმენტიდან გამომდინარე, ყველა შემთხვევაში მაინც რეალური მკვლელი (ფიზიკურად და იდეურად), კრუპსკაია გამოდის. სტალინს კრუპსკაიას „დაჟინებული მოთხოვნა“ რომ შეესრულებინა და ლენინისათვის გადაეცა სანამლავი, კრუპსკაიას როლი ამ საქმეში გადამწყვეტი არ იქნებოდა? მას ხომ შეეძლო „დაჟინებული მოთხოვნით“ კი არ მიემართა სტალინისათვის, არამედ უბრალოდ ეცნობებინა მისთვის ეს ამბავი, თუნდაც შემდგომი კონსულტაციისათვის, ანდა საერთოდ გაჩუმებულიყო, დაემალა ბელადის ასეთი საშინელი მოთხოვნა სტალინისადმი. ვინ აკონტროლებდა, ვინ აიძულებდა მას სწორედ ისე მოქცეულიყო, როგორც მოიქცა?

იქნებ ეშინოდა, ავადმყოფი ლენინი „ჩამიშვებსო“ ცნობილ კომისიასთან. ასეც რომ მომხდარიყო, განა ვინმე უსაყვედურებდა კრუპსკაიას ამისთვის? თუკი ადრე სტალინმა იგი დატუქსა, ეს გააკეთა დაწესებული საექიმო რეჟიმის დარღვევის გამო. ოპოზიციონერებისადმი ყოველთვის ლოიალურად განწყობილმა კრუპსკაიამ ეს რეჟიმი დაარღვია ფაქტობრივად მათ სასარგებლოდ და ლენინის ჯანმრთელობის საზიანოდ. ამ შემთხვევაში კი კრუპსკაია ყოველმხრივ დაცული იყო. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, იგი სწორედ ასე მოიქცა და ამ ქმედებაში განა არ იკითხება მისი ფარული თუ აშკარა სურვილი ლენინის სიკვდილისა? სხვა საკითხია ეს ჰუმანური მოქმედება იყო, თუ არაჰუმანური. მაგრამ ჩვენი თანამემამულის ბრალეულობა ამ საქმეში არ ჩანს. სტალინს სხვა ცოდვებიც ეყოფა და ხელოვნურად მისი დამძიმება არაზნებობრივია, მით უფრო, როდესაც ეს კეთდება არაჯანსაღი ინტერესებიდან გამომდინარე.

ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ აუტანელი ტანჯვის გამო თავად ლენინი იყო თავისი სიკვდილის დამკვეთი, ბოლო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კრუპსკაია - მკვლელი, აშკარაა, რომ სტალინს არც ერთი მათგანისათვის არ გაუნეგია „დახმარება“. ვფიქრობთ, ილიჩი ასეთი აქტიური გარეგანი ჩარევების გარეშე გარდაიცვალა.

**ნოდარ ბარამიძე, ფსიქოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი-ემერიტუსი**



# 9 მაისი ~ ფაშვიძე გაგაჩუქების დღე

9 მაისი ფაშვიძე გამარჯვების დღეა. 1945 წლის 8 მაისს ვერმანის კაპიტულაციის შემდეგ ევროპაში მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, 9 მაისი კი ფაშვიძე გამარჯვების დღედ გამოცხადდა. იგი აღინიშნება რუსეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთ სახელმწიფოში მეორე მსოფლიო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღედ. 1945 წლის 9 მაისს, მოსკოვში, ნიუდელ მოედანზე გაიმართა ამ გამარჯვების აღსანიშნავი სამხედრო აღლუმი. დღესასწაულად გამოცხადდა 1945 წლის 8 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ხოლო უქმედდ - 1965 წლის 26 აპრილს, საქართველოში ოფიციალურად აღინიშნება 1946 წლის 9 მაისიდან.

მეორე მსოფლიო ომი ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი იყო კაცობრიობის ისტორიაში. აზიაში ის დაიწყო მეორე იაპონია-ჩინეთის ომით 1937 წლის 7 ივლისს და ევროპაში გერმანიის თავდასხმით პოლონეთზე 1939 წლის 1-ელ სექტემბერს. საომარი მდგომარეობა ევროპაში დასრულდა 1945 წლის 8 მაისის ვერმანის კაპიტულაციით, ხოლო აზიაში - 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის კაპიტულაციით.

ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია თუ რა იცინა ახალგაზრდებმა 9 მაისის შესახებ. გვიანტერესებდა მათი დამოკიდებულება ამ დღისადმი, უნდა აღინიშნებოდეს თუ არა ეს დღე საქართველოში.

### ზვიად ბერაძე:

„იქედან გამომდინარე, რომ მე-2 მსოფლიო ომში 700 000 ქართველი მონაწილეობდა და აქედან 250 000 უკან აღარ დაბრუნებულა, რა თქმა



უნდა 9 მაისს უნდა აღვნიშნავდეთ, მაგრამ არა როგორც გამარჯვების დღეს, არამედ როგორც ფაშისტების დამარცხებას. ჩემი აზრით, ასეთი დიდი პომპეზურობა არაა საჭირო“.

### ლერი ზოსიძე:

„9 მაისი საქართველოში უნდა აღინიშნებოდეს, რადგან ქართველები აქტიურად იყვნენ ჩართული მეორე მსოფლიო ომში. ამასთან, მსხვერპლიც დიდი იყო“.



„9 მაისი ფაშვიძე გამარჯვების დღეა. II მსოფლიო ომი იყო ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიაში.“

### მეგი მანველიძე:

„9 მაისი ფაშვიძე გამარჯვების დღეა. II მსოფლიო ომი იყო ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიაში.“



1945 წლიდან საქართველოშიც აღვნიშნავთ ფაშვიძე გამარჯვების დღეს. ადამიანთა გაკვეთილი ნაწილი პროტესტს გამოთქვამს და თვლის, რომ საქართველოში არ უნდა აღინიშნებოდეს 9 მაისი. ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი არის ის, რომ საქართველოც მონაწილეობდა ამ ომში. საქართველომაც დაკარგა ბევრი მამულიშვილი და მათ მოსახსენიებლად აუცილებელია, რომ აღინიშნებოდეს „ფაშვიძე გამარჯვების დღე“.

### ზასო ჩხიკვაძე:

„9 მაისი მთელი მსოფლიოსთვის ფაშვიძე გამარჯვების დღეა და საქართველოს მხრიდან ამ უდიდესი მოვლენისადმი თავის არიდება, პირველ რიგში, ჩვენი წინაპრებისა და უახლესი ისტორიის უპატივცემულობაა, მეორე მხრივ, კი იმ ადამიანების ღვაწლის დავინწყება, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად თავიანთ შთამომავლობას უშფოთველი მომავალი შეუქმნეს. მერე რა, რომ იმ დროს საქართველო საბჭოთა კავშირის სახელით იბრძოდა და მის ინტერესებს ასრულებდა, ეს ხომ გლობალური მნიშვნელობის საფრთხე იყო კაცობრიობისათვის და ამიტომაც მეთამაყება, რომ ქართველებმა ერთ-ერთი მნიშვნე-

ლოვანი წვლილი შეიტანეს იმ დღის განხორციელებაში, რასაც ერთი მიზნისთვის გაერთიანებული მსოფლიოს თავისუფლებისთვის ბრძოლა ერქვა. როცა სამამულო ომის ვეტერანების ნაღვლიან თვალებს, მათს ტკივილნარევი მზერასა და გამოუცნობ ტკივილს ვხედავ, ჩემი შინაგანი მე არ მაძლევს უფლებას დავდუმდე, დავივიწყო, არად ჩა-



ვაგდო მათი ღვაწლი. დაე, ჩვენმა შთამომავლობამ უკეთ მიუზღოს საკადრისი მათ“.

### ბურანდა მიძალაძე:

„9 მაისი ფაშვიძე გამარჯვების დღეა. 1945 წლის 8 მაისს კაპიტულაციის შემდეგ დასრულდა მეორე მსოფლიო ომი. ეს იყო ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიაში. მოგეხსენებათ, საქართველო საბჭოთა კავშირის წევრი იყო და ჩვენი ვაჟ-კაცებიც ღებულობდნენ მო-



ნაწილობას ომში. ეს დღე ჩემი ოჯახისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ჩემი ბაბუა, მეწველედ კოკობინაძე გახლადათ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი. ეს დღე მომავალმა თაობამ აუცილებლად უნდა იცოდეს და შესაბამისად აღინიშნებოდეს უნდა კიდევ. ეს არის მცირედი, რითაც პატივს მივავებთ დაღუპულ გმირებს და ვაჟკაცებს, რომლებიც გადაურჩნენ ტყვეობასა თუ ბომბ-დამშენებს და შეძლეს გამარჯვება“.

### ლანა ბურჯანაძე:

„მიმაჩნია, რომ ფაშვიძე იყო აღმოსავლური და არავითარ შემთხვევაში ეს „ჭირი“ მსოფლიოში არ უნდა გავრცელებულიყო, მაგრამ რამდენად მომგებიანი დარჩა საქართველოსთვის ერთი „ჭირის“



ჩანაცვლება მეორე „ჭირით“ (გგულისხმობ კომუნიზმს), ეს კიდევ სხვა საკითხია“.

ჩვენ შევეცადეთ გამოგვეკითხა ახალგაზრდების დიდი ნაწილი, მაგრამ ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, უმეტესობამ თავი აარიდა ჩვენს კითხვებს 9 მაისთან დაკავშირებით. გამოკითხვამ ცხადყო, რომ ისინი ამ საკითხის შესახებ არ არიან საკმარისად ინფორმირებულნი.

ნათია ტარიელაძე

## სტუდენტური დღეები - „აჭარა 2014“

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სტუდენტური დღეების - „აჭარა 2014“ პირველობა ორ ნომინაციაში მოიპოვა. „მის-უნივერსიტეტის“ ტიტული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტ გვანცა თოფურიას მიენიჭა, ხოლო საუკეთესო ორიგინალური ნომრის ნომინაციაში თანამედროვე ცეკვების ჯგუფმა „M style 13“-მა გაიმარჯვა. სტუდენტური დღეები აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა და მასში რეგიონში მოქმედი ოთხი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები მონაწილეობდნენ. სტუდენტური დღეები - „აჭარა 2014“ ერას მოედანზე გამართული კონცერტით დასრულდა.



## „სამეცნიერო და წერიტი უნარ-ჩვევების გაუმჯობესება საქართველოს ახალგაზრდა აკადემიური პერსონალისათვის“

საუნივერსიტეტო კვლევის პროგრამის „სამეცნიერო და წერიტი უნარ-ჩვევების გაუმჯობესება საქართველოს ახალგაზრდა აკადემიური პერსონალისათვის“ ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხუთდღიანი ტრენინგი ჩატარდა. ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის (State University of New York) პროფესორებმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ახალგაზრდა მკვლევარებსა და დოქტორანტებს სტატისტიკური ანალიზისა და ხარისხობრივი კვლევების მეთოდები, სამეცნიერო კვლევების გამოყენება საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში, აღწერილობითი და ინფერენციული სტატისტიკა, ბივარიაციული ანალიზი და ეკონომიკური შეფასების მეთოდები გააცნეს. სწავლება არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელობის კვლევის კავშირმა“ (Health research Union) აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა.

# ლიკაპინის რა გარე სამყარო



## ჩვენი არსებობის წყარო - ნიადაგი

მცენარეების, ცხოველებისა და თვით ადამიანების ცხოველქმედებისა და სიცოცხლისუნარიანობისათვის აუცილებელია ცოცხალი ორგანიზმმა მიიღოს მისთვის საჭირო ენერჯია და საკვები ელემენტები, რომლის უმნიშვნელოვანესი წყარო არის ნიადაგი, რომელიც გვასაზრდოვებს.

ნიადაგი ხმელეთის ზედაპირზე წარმოქმნილი ბუნებრივ-ისტორიული სხეულია, რომელიც წარმოიქმნება ნიადაგწარმოქმნელი (ქანების, რელიეფის, კლიმატის, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ქვეყნის ხნოვანების და ანთროპოგენული) ფაქტორების რთული და ერთობლივი ურთიერთქმედებით. ნიადაგი არსებული მიკროორგანიზმები, ბაქტერიები და სოკოები მკვდარი მცენარეებისა და ცხოველების ნარჩენებს შლიან, რის შედეგადაც მიიღება ნივთიერება, რომელსაც ჰუმუსი ეწოდება. სწორედ, ნიადაგის მთავარი თვისება - ნაყოფიერება. ნიადაგმა უნდა უზრუნველყოს მცენარე სასიცოცხლო პირობებით, ეს უმეტესწილად ჰუმუსზეა დამოკიდებული. ნიადაგის ზედა ფენას ჰუმუსი სხვადასხვა ტონის მურა შეფერილობას აძლევს.

დედამიწაზე უამრავი სხვადასხვა სახეობის ნიადაგი არსებობს. ევრაზიის, აფრიკისა, ავსტრალიის კონტინენტების ცხელი და მშრალი ჰავის ოლქებში ნაზლა და რუხი-მურა ნიადაგებია გავრცელებული, ცივი და ნოტიო ჰავის პირობებში (ტაიგის ზონა) ენერი, ზომიერად ცივი ზამთრისა და საკმარისი ტენიანობის პირობებში, ფოთლოვანი ტყის ზონაში ყომალი ნიადაგები. ჰუმუსის დაგროვების ყველაზე ხელსაყრელი პირობები სტეპებშია, სწორედ ამ ზონაშია გავრცელებული შავიწიფები. ნოტიო და თბილი ჰავის პირობებში ინტენსიურად მიმდინარეობს ქიმიური გამოფიტვა და წარმოიქმნება ნითლიანი და ყვითელიწიფები. ამგვარი ნიადაგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებია ეკვატორულ სარტყელში, აგრეთვე მუსონური და ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქებში. ტუნდრის, ტყე-ტუნდრის და ტაიგის ქარბტენიანი არეებისათვის ჭაობის ტიპის ნიადაგებია დამახასიათებელი.

ნიადაგებს მექანიკური შედგენილობის მიხედვით ჰყოფენ თხიან, თხინარ, ქვიშიან და ქვიშნარ ნიადაგებად. უდიდესი მნიშვნელობისაა ნიადაგის სტრუქტურული აგრეგატები ფორმა, ზომა, სიმკვრივე და სიმტკიცე. საუკეთესოა მარცვლოვანი და ამასთან მტკიცე სტრუქტურა, რომელიც ნიადაგური სითბოს, ჰაერის, წყლის, მცენარეთა საკვები ელემენტების აკუმულაციის საუკეთესო გარემოს ქმნიან.

შესაბამისად, ნიადაგებიც ნაყოფიერია (მაგალითად შავიწიფები, ყავისფერი ნიადაგები და სხვა), ხოლო უსტრუქტურო ნიადაგები დაბალნაყოფიერია (ენერი ნიადაგები, მლაშობები და ა.შ.).

ნიადაგი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი საშუალება და სასურსათო პროდუქციის მიღების უალტერნატივო პირობაა. ამავე დროს, უნდა ვიცოდეთ, რომ ნიადაგწარმოქმნა ხანგრძლივი პროცესია, კერძოდ ასე წლის განმავლობაში 0.5-დან 2 სმ-მდე სისქის ნიადაგის შრე წარმოიქმ-

ნება (ამიტომ იგი შორეულ მომავალში აღდგენად ბუნებრივ რესურსს მიეკუთვნება). მისი გადარეცხვა კი ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიით მოკლე დროში შეიძლება მოხდეს, ამიტომ აუცილებელია ნიადაგის ეროზიული პროცესებისგან დაცვა. ნიადაგურ საფარზე ასევე უარყოფითად მოქმედებს ეგზოგენური წარმოშობის ტექნოგენური ნაერთები, რომლებიც მათ გაჭყუყუანებას იწვევს, რაც ნეგატიურად აისახება ატმოსფერულ ჰაერზე, ზედაპირულ და მინისქვეშა წყლებზე,

მცენარეულობასა და ცხოველთა სამყაროზე და რათქმა უნდა, ადამიანზე. თუ ნაყოფიერი ნიადაგის შენარჩუნება გვინდა უნდა დავიცვათ იგი, რაც იონალურად გამოვიყენოთ და მისი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებისათვის ვანარყოთ კომპლექსური მელიორაციული ღონისძიებები.

**ნანა რომანაძე**  
გეოგრაფიის სპეციალისტი  
II კურსის სტუდენტი

## ოზონის შრე

ოზონი ხერელი-დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენაში (სტრატოსფეროში), ოზონის კონცენტრაციის მკვეთრი შემცირების ფენაშია. ოზონის შრე წარმოადგენს ბუნებრივ ეკრანს, რომელიც იცავს დედამიწას და მასზე არსებულ სიცოცხლეს მავნე ულტრაიისფერი გამოსხივების (UV) შემოქმედებისაგან. რადიაციის შთანთქმის გამო ოზონის ფენის ტემპერატურა მატულობს, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ატმოსფეროს სითბურ რეჟიმზე. ოზონის შრის გამოფიტვა და ულტრაიისფერი გამოსხივების დონე ზევად უფრო მეტია, ვიდრე 50-100 წლის წინათ. ამას ოზონის შრის გამოფიტვა, ანუ ე.წ. ოზონის ხვრელების არსებობა იწვევს. ოზონის შრის შემცირების შედეგად ულტრაიისფერი გამოსხივების ინტენსივობა მატულობს.

ჩვეულებრივ მდგომარეობაში ატმოსფეროში დაცულია ბალანსი ოზონის წარმოქმნასა და დაშლას შორის, რაც ოზონის შრის მუდმივობის შენარჩუნებას უწყობს ხელს, მაგრამ ისეთი გარემო ფაქტორების ზემოქმედების გამო, როგორცაა ჰაერის დაჭუჭყუანება საზრუნველო გამონაბოლქვებით, ეს ბალანსი დაირღვა და უფრო მეტი ოზონი იშლება, ვიდრე წარმოიქმნება, რასაც შედეგად ოზონის შრის გამოფიტვა სდევს. პირველი ცნობები ოზონის შრის გამოფიტვის შესახებ 1957 წელს გაჩნდა. ინგლისელმა მეცნიერებმა ანტარქტიკის თავზე გაზომეს ოზონის რაოდენობა და ოზონის შრის სისქის მნიშვნელოვანი ცვლილებები დააფიქსირეს.

1985 წლის გაზაფხულზე ასევე ინგლისელი მეცნიერების, მ. მოლინა და დ. როულინგმა სამხრეთ პოლუსის თავზე უკვე ე.წ. ოზონის ხვრელი აღმოჩინეს, ოზონის შრეში მომატებული ულტრაიისფერი გამოსხივება აზიანებს პლანქტონს, რომელიც თავის მხრივ თევზებისა და ზღვის ჭუჭუნურების საკვებს წარმოადგენს და მათ არსებობას საფრთხეს უქმნის. ულტრაიისფერი გამოსხივების გავრცელება საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისათვისაც, რადიაციის შთანთქმის გამო ოზონის ფენის ტემპერატურა მატულობს, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ატმოსფეროს სითბურ რეჟიმზე, ხოლო ეს უკანასკნელი გლობალური დათბობის ერთ-ერთი მიზეზია.

**ფიქრია კვაჭარტიანი**,  
გეოგრაფიის სპეციალისტი  
II კურსის სტუდენტი

## ვულკანური პროცესები, შედეგები და მათი გეოგრაფიული გავრცელება

ვულკანი და მისი მოქმედება. მინაზე არის თვა-უნვდენელი სიერცხეები, რომლებიც უმოქმედო ვულკანებს მოიცავს, მაგრამ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში არაერთი მოქმედი ვულკანია. ამიტომ აქაური ხალხები, კერძოდ ბერძნები და რომაელები, ვულკანებს უხსოვარი დროიდან იცნობდნენ. თვით ტერმინი ვულკანი ქვესკნელის რომაული ღმერთის, ვულკანის, სახელიდან მომდინარეობს. აქაური ვულკანები არიან ეტნასიცილიაში, სტრომბოლი იქვე ახლოს ლიპარის კუნძულებზე და სხვა. ვეზუვის, რომელიც აპენინის ნახევარკუნძულზე ნეაპოლის ახლოს მდებარეობს, ამით რიცხვში არავინ მოიხსენიებდა, რადგან არავის ახსოვდა და არც გაეგონა, რომ მას ვულკანურად ემოქმედოს. მხოლოდ ცნობილმა ბერძენმა მეცნიერმა სტრაბონმა გამოთქვა ეჭვი, ეს გორა ვულკანი უნდა იყოსო.

ვეზუვი მწვერვალამდე ტყით იყო შემოსილი, ხოლო მის ნაყოფიერ ფერდობებზე და კალთებზე პატარა ქალაქები იყო გაშენებული. სრულიად მოულოდნელად ჩ.წ. 79 წლის 24 აგვისტოს გორამ საშინელი ძალით იფეთქა. ეს შემზარავი მოვლენა აღწერა პლინიუს უმცროსმა, რომელიც მას 30 კილომეტრის მანძილიდან უმზერდა. ამ ამოფრქვევის შედეგად მთლიანად განადგურდა 3 ქალაქი: პომპეი, პერკულანუმი და სტაბია.

სხეულებული ქალაქები ისე საფუძვლიანად დაიმარხნენ ვულკანურ მასალის ქვეშ, რომ შემდეგში მათი მდებარეობაც აღარავინ იცოდა. მხოლოდ მიწის თხრის დროს 14 საუკუნის შემდეგ შემთხვევით, ნააწყენდნ პომპეის ნაშთებს. 1748 წელს დაიწყო გეგმიანი გათხრები და დღეს მთელი ქალაქი განმედილია და თავისებურ მუზეუმს წარმოადგენს.

ამ კატასტროფული ამოფრქვევის შემდეგ ვეზუვი მოქმედი ვულკანია, მაგრამ მოქმედებს დროგამოშვებით. 1631 წლის დიდი ამოფრქვევის შემდეგ ინტერვალში ამოფრქვევითა შუა რამდენადმე რეგულ-



ვულკანი კალავეა კუნძულ ჰავაიზე

ლარულიც კი არის. უკანასკნელი დიდი ამოფრქვევები იყო 1872, 1906 და 1944 წელს.

ვულკანური პროდუქტები ვულკანის პროდუქტები ჩვეულებრივ, სხვადასხვა აგრეგატულ მდგომარეობაში გამოიხატება, რომელთა შორის არჩევენ: თხიერ, მყარ და აიროვანს

განასხვავებენ ვულკანთა სხვადასხვა ტიპებს. ეს საკითხი გეომორფოლოგიურად იმ მხვრივაცაა საყურადღებო, რომ ამოფრქვევის ხასიათი, მისი თავისებურება დიდ როლს ასრულებს ვულკანური მთის მორფოლოგიაში. ერთ შემთხვევაში მან შეიძლება განაპირობოს ფარისებურად ან გუმბათისებურად ამოზნეული რელიეფის შექმნა, როგორც ამას ვამჩნევთ ჰავაის ვულკანთა მაგალითზე. სხვა შემთხვევაში შეიძლება მას შედეგად მოჰყვეს კლი-ურის მთის წარმოშობა ან მკვეთრად გამოხატული ასიმეტრიული მთის ფორმირება, როგორც ეს კრაკატაუსათვისაა ნიშანდობლივი და ა. შ.

გეოლოგიური ისტორიის თვალსაზრისით ვულკანური ამოფრქვევის სამ კატეგორიას განასხვავებენ: ფართობულს, ნაპრალოვანსა და ცენტრალურს.

პირველ მათგანს ადრეულ გეოლოგიურ ეპოქებში ჰქონდა ადგილი და ხასიათდებოდა მეტად დიდი რაოდენობით თხიერი პროდუქტების ამოღებით, რაც ვრცელი ვულკანური ზეგნების წარმოშობას განაპირობებდა. თანამედროვე ხანაში თითქოს ყველგან ცენტრალური ამოფრქვევაა გაბატონებული, ე. ი. ისეთი, როცა ვულკანური პროდუქტების ერთ რომელიმე სადინარი ზედაპირზე ასეთივე ერთი მთით ბოლოვდება. ამოფრქვევის ხასიათისა და შედეგების სტრუქტურული მორფოლოგიური თავისებურებების მიხედვით ცენტრალური ამოფრქვევის სხვადასხვა ტიპთან გავსებს საქმე, რომლებიც ორ ჯგუფთან იყოფა: მონოგენური, (პროცესის ერთჯერადი გამოვლინებით წარმოშობილი ფორმები) და პოლიგენური ანუ პროცესის მრავალჯერადი გამოვლინებით მიღებული ვულკანური ნაგებობანი. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება მართი ექსტრუზიული გუმბათები, ხოლო პოლიგენურს: ჰავაის, ვეზუვის, პელეს, სტრომბოლის და ბანდაის ტიპის ცენტრალური ვულკანები.

მართი ვულკანური პროცესის გამოვლინების უმარტივესი სახეა, რომელსაც ზოგჯერ აფეთქების მიღება და ემბრიონალურ ვულკანებსაც უწოდებენ. მორფოლოგიურად იგი ძაბრისებურად ჩაღრმავებულ ადგილს წარმოადგენს, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როცა ვულკანის ერთჯერადი მოქმედება მხოლოდ გაზების ამოტყორცნით მთავრდება. უკანასკნელთა აფეთქების ადგილზე ჩნდება ჩაღრმავება. ირგვლივ 2-3 ათეულ მეტრამდე სიმაღლის ნაშალი მასალის ზღუდრით განსაზღვრული იგი შეიძლება წყალმა ამოავსოს და წარმოიშვას მართული ტიპი.

ჰავაის ტიპი. ეს სახელწოდება ჰავაის არქიპელაგის ყველაზე დიდი კუნძულისაგან წარმოდგება, რომელზეც ორი მოქმედი ვულკანია: მაუნა-ლოა და მაუნა-კეა, რომელთათვისაც დამახასიათებელია მეტად თხიერი, ადვილად დენადი ბაზალტური ლავის ამოღება. ამოღებული მასალა შორს ვრცელდება და ვულკანის აპარატს ფარისებურად ამოზნექილ სახეს აძლევს. ამიტომაც, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნულ ვულკანთა დიდი სიმაღლისა (მაუნა-ლოა 4160 მ.), მათი ფერდობები საერთოდ სუსტი დაქანებისაა და კრატერამდე ასვლა სიმძლავრის არ წარმოადგენს. მაუნა-ლოას 2,5 კმ-ის დიამეტრის მქონე კრატერში არსებული ლავა მონიტალურ ფერის გავარვარებულ ტბას მიგვაგონებს, რომელზეც აქაქ რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლეზე აღმართულია წყნარად ამოხვეული აიროვანი პროდუქტების „შადრენები“. ჰავაის ტიპის ვულკანები დიდი რაოდენობით გვხვდება ისლანდიაზე, კუნძულ სამოაზე.

ვეზუვის ტიპი. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელია რამდენადმე ბლანტი ანდეზიტურ-ტრახიტული ლავის ამოღება, რომელიც უხვად შეიცავს აიროვან პროდუქტებს და მოქმედების დაწყებისას ვულკანის ყელში გაჩენილი ლავის საცობის გამო ძლიერი აფეთქებით და დიდი რაოდენობით მყარი პროდუქტების ამოტყორცნით ხასიათდება. ყოველივე ეს მორფოლოგიურად იმ მხვრივაცაა საყურადღებო, რომ მას შედეგად მოსდევს ვულკანური მთის ზედა ნაწილის თვალსაზრისით ცვლილება. გაზების აფეთქებას მოსდევს აირებით მდიდარი ლავის ამოღება.

პელეს ტიპი.სახელწოდება მცირე ანტილის არქიპელაგში მდებარე კუნძულის ვულკანისაგან წარმოსდგება, რომელსაც მონ-პელეს უწოდებენ. იგი სრულიად სხვა ნიშნების მქონეა ზემოაღნიშნული ჰავაის ტიპთან შედარებით. ეს განსხვავება პირველ რიგში მისი ლავის მეტისმეტ სიბლანტეში და გაზების დიდი რაოდენობით გამოყოფაში მდგომარეობს, რის გამოც პელეს მოქმედება კატასტროფული ხასიათისაა. ასეთმა კატასტროფამ განადგურა 1902 წელს ქალაქ სან-პიერის მთელი მოსახლეობა (30 000 ადამიანი).

ვულკანიზმის პრაქტიკული მნიშვნელობა ადამიანისთვის ძალიან დიდია. უნდა აღინიშნოს, რომ ვულკანურ ქანებთან, განსაკუთრებით ინტრუზივებთან, დაკავშირებულია სხვადასხვა გამადნება, რომელთა გამოყენება სამთო მრეწველობის საფუძველს წარმოადგენს. თვით ვულკანოგენური ქანები ხშირ შემთხვევაში ძვირფას საშენ ტექნოლოგიურ მასალას იძლევიან.

**რუსლან მელაძე**  
გეოგრაფიის სპეციალისტი  
II კურსის სტუდენტი

**რეალტორი:**  
**ნიოსა სანიშიკი**

**სააფილიისტი:**  
**ნოსტან მანუჭაძე**

**საბაჟო-საბაჟო-საბაჟო:**  
ნანა მახვარიანი  
ნიკა შაბილიძე  
ნათია ნიქაშვილი  
ნინო ფილიპი  
მკვანა გოგოვაძე  
დავით პარაშვილი  
გუგუა ჩაბანაძე  
მითა მანუჭაძე

**გაზეთი დაიბეჭდა**  
**გამომცემლობა**  
**„სამშობლოში“**  
2 18 07 76; 5 99 95 31 90  
მის.: ქ. თბილისი,  
რობაქიძის 7